CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

**სკოლებში საატესტატო გამოცდები უქმდება?**

რა განუცხადეს განათლების სამინისტროში „ალიას“

N143/3073/30 სექტემბერი 2014 წ PRESS ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## მერიის საიდუმლო სია



**ვის დაიჭირენ მერიის სამსახურში მონაცემთა ბაზის განადგურებისთვის?**

## რა შეცდომა აღმოაჩინა ექსპერტმა გოგი თოფაძის კონცეფციაში?

## რა დავალება მიიღეს სახელმწიფო უწყებებში მომუშავე „ნაციონალების“ მხარდამჭერებმა?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მურმან დუმბაძის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართეს




ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მურმან დუმბაძის მიმართ, სამოქალაქო სარჩელი შეიტანეს. ორგანიზაცია საქართველოს პარლამენტის წევრისგან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას მოითხოვს.

მურმან დუმბაძემ ორგანიზაციის სამართლებრივი ანალიზი აჭარის რეგიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მცდელობებთან დაკავშირებით არგუმენტაციის გარეშე დატოვა და „ახალგაზრდა ადვოკატები“, განცხადების გამო, ხელისუფლების მხრიდან დაქირავებულ ორგანიზაციად დაასახელა. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვერც შეთავაზებულ გონივრულ ვადაში შეძლო საკუთარი განცხადების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მურმან დუმბაძის აღნიშნული განცხადება შეურაცხმყოფელია და ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას წარმოადგენს. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის სამართლებრივი მსჯელობის მიმართ ბრალდება გამოითქმის, აუცილებელია, არსებობდეს კონკრეტული მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ორგანიზაციის მიმართ ხელისუფლების დავალების ფაქტს. ამასთანავე, უნდა არსებობდეს კონკრეტული საფუძვლები, რათა დასაბუთდეს ორგანიზაციის მოქმედი წევრების ნაკლები სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხიც. სხვა შემთხვევაში, ადგილი აქვს საჯარო პირის მხრიდან ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას, რომელიც ნორმალურ ვითარებაში, კანონმდებელმა და კანონის დამცველმა პარლამენტის წევრმა უნდა იცოდეს. (რეპორტიორი)

## უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს განცხადება



სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო დასავლეთ საქართველოში ამინდის გაუარესებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„დასავლეთ საქართველოში ამინდის გაუარესებასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის დავალებით შექმნილი საგანგებო შტაბი 24-საათიან რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. შტაბის საქმიანობის კოორდინაცია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის, მინდია ჯანელიძის ხელმძღვანელობით ხორციელდება. ამ ეტაპზე მესტია-ხაიშის გზაზე კლდეზვავის ჩამოწოლის შედეგად დაზიანებული გზის მონაკვეთი აღდგენილია. გურიასა და იმერეთში, უხვი უწყვეტი ნალექის პირობებში, მოსახლეობის ეზოებიდან წყლის ამოტუმბვა ინტენსიურად მიმდინარეობს.

ელექტროენერგიის მიწოდება აღდგენილია ჩოხატაურის ხუთ სოფელში, ფოთში, ქალაქ ლანჩხუთის ნაწილში. ვანის ორ სოფელში დაზიანებული ტრანსფორმატორების შესაკეთებლად ბრიგადები მუშაობენ. ასევე, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ოზურგეთის რაიონის რამდენიმე სოფელში ელექტროენერგიის აღსადგენად. ჩამოწოლილი მეწყრული მასისგან იწმინდება ბათუმი-ახალციხის გზის მონაკვეთი.

საგანგებო შტაბის დაქვემდებარებაში შემავალი ყველა უწყება აუცილებელი ღონისძიებების გატარებას აგრძელებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ამნისტიით განთავისუფლებულთაგან ყოველი მე-16 კვლავ ციხეში შებრუნდა



2012 წელს განხორციელებული მასშტაბური ამნისტიის შედეგად განთავისუფლებულთაგან ყოველი მე-16 ხელახლა ჩადენილი დანაშაულის გამო კვლავ ციხეში შებრუნდა.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს დოკუმენტაციაშია აღნიშნული, ბოლო წელიწად-ნახევარში საყოველთაო ამნისტიის შედეგად განთავისუფლებულთაგან 879-მა დანაშაული ისევ ჩაიდინა.

უწყების ინფორმაციით, 2013 წელს ხელახალი დანაშაული 523-მა ამნისტირებულმა ჩაიდინა, 2014 წლის აგვისტოს ჩათვლით კი განმეორებითი დანაშაულის გამო 356 ამნისტირებული დაუბრუნდა ციხეს. (ფრონტნიუსი)

## ბათუმი-ქედას დამაკავშირებელ გზაზე მეწყერი ჩამოწვა



შედეგად საავტომობილო მიმოსვლა შეფერხებულია. შემთხვევის ადგილზე შესაბამისი ტექნიკა გაემგზავრა, თუმცა, გადაუღებელი წვიმის გამო, მოხერხდება თუ არა გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, ჯერჯერობით უცნობია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ორი დევნილი ირაკლი ღარიბაშვილთან შესახვედრად ფოთიდან თბილისში ფეხით მოემართება



ორი დევნილი ფოთიდან თბილისის მიმართულებით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის მიზნით ფეხით მოემართება. იძულებით გადაადგილებული პირები ფოთში, ახლად აშენებულ სახლში შესახლებას ითხოვენ.

ქალბატონების განცხადებით, ფოთში ბინები უსამართლოდ გადანაწილდა, მათმა 6-დღიანმა შიმშილობამ შედეგი ვერ გამოიღო – ხელისუფლებიდან მათ არავინ დაჰკავშირებიათ, ამიტომ იძულებულნი გახდნენ, აღნიშნული ზომისთვის მიემართათ.

ქალბატონებს „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეც შეუერთდა და თბილისისკენ ერთად მოემართებიან. (ფრონტნიუსი)

## „ნაცმოძრაობის“ ზოგიერთმა დეპუტატმა 100-ზე მეტი საკომიტეტო სხდომა გააცდინა



„ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთმა დეპუტატმა მიმდინარე წლის განმავლობაში 100-ზე მეტი საკომიტეტო სხდომა გააცდინა.

აღნიშნულის გამო, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ დეპუტატებს საკომიტეტო განხილვების იგნორირებაში ადანაშაულებს.

პარლამენტის სპიკერმა 1 წლის საკომიტეტო სხდომების დასწრების მაჩვენებლები წარადგინა და ოპოზიციას საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტის პატივისცემისკენ მოუწოდა.

„1 წლის განმავლობაში 107 კომიტეტის სხდომაზე არ არის ნამყოფი ბატონი გივი თარგამაძე, ლევან ბეჟაშვილს 92 სხდომა აქვს გაცდენილი, გიორგი ღვინიაშვილსაც 92 სხდომა. შემიძლია ჩამოვთვალო წლის განმავლობაში გაცდენილი სხდომების რაოდენობა იმ ხალხის მხრიდან, რომლებიც დღეს ამბობენ, რომ რაიმე მიზეზის გამო არ ესწრებიან აქ გამართულ კომიტეტის სხდომებს“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ფრონტნიუსი)

## ცხინვალის პარლამენტი ღარიბაშვილის განცხადებას ეხმაურება




ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო პარლამენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გაეროს 69-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლას ეხმაურება.

„სამხრეთ ოსეთს არავითარი კავშირი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან არ აქვს. არ დავიწყებდი ჯანსაღი აზრის ძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებაში, თუნდაც ეს გაეროს ტრიბუნიდან იყოს ნათქვამი. ჩვენ ასეთი განცხადებები ქართველი პოლიტიკოსებისგან არაერთხელ მოგვისმენია“, – განაცხადა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე იგორ კოჩიევმა.

მისივე თქმით, საქართველომ გაეროს წესდებისა და თავისი ვალდებულებების დარღვევით გააჩაღა ომი სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. კოჩიევის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობა დაფუძნებულია ხალხის ნების გამოვლინებაზე, ხოლო რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას საფუძველი გაუმყარა.

მისივე თქმით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გამოხატა პოზიცია შერიგების შესახებ – აღიაროს საქართველომ ოსი ხალხის გენოციდი, შეიარაღებული აგრესია, რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ა.შ. და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საუბარი დაახლოებასა და შერიგებაზე. (ინტერპრესნიუსი)

## უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოსტზე პრეზიდენტმა შერჩეული კანდიდატები ხელმეორედ წარადგინა



ამ დრომდე უცნობია, დაუჭერს თუ არა მხარს უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოსტზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილ ორ კანდიდატს. მარგველაშვილმა ჯერ კიდევ აგვისტოში დაადასტურა, რომ მოსამართლეების კანდიდატებს ხელმეორედ წარადგენდა. შეგახსენებთ, რომ ნინო ბაქაქურისა და ზურაბ ძლიერაშვილის კანდიდატურა პარლამენტმა რამდენიმე თვის წინ ჩააგდო.

„პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს ორი წევრის კანდიდატურა ხელმეორედ წარადგინა. ეს პრეზიდენტმა განაცხადა პირველივე დღეს, როდესაც ისინი არ აირჩიეს ქუთაისში. მაშინვე გადაწყდა, რომ მათ ხელმეორედ წარადგენდნენ. გასული კვირის ბოლოს ისინი ხელმეორედ წარადგინეს. შეარჩიეს სამი ძირითადი პრინციპის საფუძველზე, ეს არის მიუკერძოებლობა, პროფესიონალიზმი და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი“. – განაცხადა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ. (news.ge)

## პოლიციელებს 20 წლის ახალგაზრდისთვის იარაღის ჩადებაში ადანაშაულებენ

29 სექტემბერს ბაღდათის პოლიციის შენობასთან 20 წლის ახალგაზრდის, ირაკლი აბულაძის ახლობლები შეიკრიბნენ. მათი განცხადებით, სამართალდამცველებმა აბულაძეს ბაღდათის ცენტრში იარაღი ჩაუდეს, რასაც, როგორც აბულაძის ახლობლები აღნიშნავენ, თვითმხილველები ჰყავს.

ირაკლი აბულაძის ოჯახის წევრები სამართალდამცველებს უფლებამოსილების გადაჭარბებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ დაკითხვაზე მყოფ აბულაძესთან ადვოკატი მანამდე არ შეუშვეს, ვიდრე ის ქუთაისში, ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით არ წაიყვანეს. (news.ge)



რომ სააკაშვილთან კონტრაქტი შეწყვიტა და მასთან არც მომავალში აპირებს თანამშრომლობას.

ამერიკული პოლიტიკური ელიტა სააკაშვილს კარგა ხანია, ცუდი თვალით უყურებს, მასთან შეხვედრაზე უარს ამბობენ ის სენატორები და კონგრესმენები, რომლებიც ადრე სიამოვნებით მასპინძლობდნენ. თეთრ სახლში კი სააკაშვილს, ფაქტობრივად, მხარდამჭ-

– რა თქმა უნდა, საქმე ეხება კონკრეტული ქვეყნის ექსპრეზიდენტს, საკონსულო აუცილებლად გაითვალისწინებს იმ ინფორმაციას, რასაც მასზე სახელმწიფო დეპარტამენტიდან მიიღებს. ასეთი პიროვნებისთვის სამუშაო ვიზის გაცემის საკითხს, არა მგონია, მარტო კონსული წყვეტდეს. მით უფრო, როცა ვიზის არმიცემაზე ვლაპარაკობთ. მეეჭვება, ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღო კონსულს. ცხადია, თუ ეს მართლაც ასეა, ამერიკის ხელისუფლების უფრო მაღალ დონეზეა გადაწყვეტილი ვიზის საკითხი.

**ძლია ტურისტული ვიზით ჩავიდეს და სხვადასხვა უნივერსიტეტებში ლექციები წაიკითხოს?**

– არა, ეს გამორიცხულია, მაგას სამუშაო ვიზა სჭირდება, ისე ლექციას ვერ წაიკითხავს და ვერც ანაზღაურებას მიიღებს.

ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა „ალიასთან“ განაცხადა, რომ უმჯობესია, დაველოდოთ, ორ დღეში ან დადასტურდება ეს ინფორმაცია, ან – არა და თუ დადასტურდა, მერე განვიხილოთ დეტალურადო: „თუ ეგ ინფორმაცია მართალია და სააკაშ-

ბა, შეგვიძლია, ვივარაუდოთ. ამერიკის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი „ნაცმოძრაობის“ დაშლის პროცესი დაჩქარდება და ვეღარც გიგა ბოკერიას დაანონსებული კანონიერი გზებით მოაწყობენ რევოლუციას, რადგან ამ ყველაფერში, მათ, უპირველესად, სწორედ ამერიკის პოლიტიკური წრეების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მიხეილ სააკაშვილს კი, უარესად წაუვა საქმე. მას დიდი იმედი აქვს, რომ, თუ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა გამწვავდა და ინტერპოლით დაუწყებენ ძებნას,

# სააკაშვილს ამერიკა სამუშაო ვიზის შემდეგ პოლიტიკურ თავშესაფარზეც უარს ეტყვის?

„ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ ოფისში დიდი გლოვა აქვთ გამოცხადებული. მიხეილ სააკაშვილს აშშ-ს საკონსულომ ამერიკაში სამუშაო ვიზა არ მისცა. „ალიას“ ეს ინფორმაცია სწორედ „ნაცმოძრაობის“ მთავარი ოფისიდან მოაწოდეს. მისი უტყუარობა, მალე გერკვევა, მაგრამ ის ფაქტი, რომ პარტიის ოფისში დიდი პანიკაა, ნიშნავს, რომ ვიზასთან დაკავშირებული ინფორმაცია სარწმუნო უნდა იყოს და ამიტომაცაა, რომ „ნაცებს“ დანა კბილს არ უხსნით. ჩვენთვის უცნობია, ეს ინფორმაცია პარტიის ლიდერებს თავად სააკაშვილმა დაუდასტურა თუ არა. თუმცა, ლოგიკურად, პარტიის ლიდერებს აღნიშნული ინფორმაცია ან თავად სააკაშვილისგან უნდა ჰქონდეთ, ან იმ ადამიანისგან, ვისაც მიშამ ეს ამბავი უთხრა.

სააკაშვილისთვის ამერიკის სამუშაო ვიზის არმიცემას, ერთი ფაქტი კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის. მაისში, საქართველოს ექსპრეზიდენტს სამსახურზე უარი უთხრა ტაფტის უნივერსიტეტმა. ამის შესახებ ამერიკული გამოცემა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა და ეს ფაქტი მოგვიანებით დადასტურდა. ტაფტის უნივერსიტეტმა განცხადება გააკეთა, ერი აღარ დარჩა. ბარაკ ობამას გუნდი აშკარად არ სწყალობს სააკაშვილს. მას ვერც ლობისტები შველიან და მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, უკვე თვეები გადის და სააკაშვილი ვერც ერთ გავლენიან პოლიტიკურ ლიდერს ვერ შეხვდა ამერიკაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცხადია, მისთვის სამუშაო ვიზის არმიცემაც არ განეკუთვნება ფანტასტიკის სფეროს.

**„ალია“ აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო სამართლის იურისტ ზურაბ მამულაშვილს** ესაუბრა:

**— ბატონო ზურაბ, როგორ ხდება ამერიკის სამუშაო ვიზის გაცემა?**

– თითოეული სახელმწიფო თავად წყვეტს, რომელ ადამიანს მისცეს სამუშაო თუ სხვა სახის ვიზა, ეს ინდივიდუალურია. ამერიკის კანონმდებლობაში ზუსტად როგორ წერია, ვერ გეტყვით, მაგრამ საკონსულო ინდივიდუალურად წყვეტს, რომელ ადამიანს მისცეს თუ არ მისცეს ვიზა.

**— კონსული ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ექვემდებარება. იქიდან მიღებულ ინფორმაციას ხომ აუცილებლად გაითვალისწინებს?**

**— ანუ ეს შეიძლება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა?**

– რა თქმა უნდა, როცა ასეთ პიროვნებას არ აძლევენ ვიზას, ეს უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. კონსული და ელჩი ამას საკუთარ თავზე ვერ აიღებდნენ.

**— შესაძლოა, რომ ამ სავარაუდო გადაწყვეტილებაზე, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ იმოქმედა? იმ ფაქტმა, რომ მას საქართველოში სამი ბრალი აქვს წაყენებული და ძებნაც არის გამოცხადებული?**

– არა, ეს მაინც პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა იყოს, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ეგ ყველაფერი, შესაძლოა, საბაბად გამოადგეს საკონსულოს და თქვას, რომ აი, ამის გამო არ მივეცით ვიზა სააკაშვილს, მის წინააღმდეგ ბრალი იყო წაყენებული და ამის გამო თავი შევიკავეთო.

**— ერთხელ თუ უთხრეს უარი სამუშაო ვიზაზე პიროვნებას, რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება მან ხელმეორედ შეიტანოს ანალოგიურ მოთხოვნით განაცხადი საელჩოში?**

– 6 თვის შემდეგ შეუძლია ხელახლა შეიტანოს და განიხილავენ.

**— თუ სააკაშვილს სამუშაო ვიზაზე მართლა უარი უთხრეს, მას შეუ**ვილს ამერიკამ უარი უთხრა სამუშაო ვიზაზე, ეს იქნება დიდი დარტყმა მთლიანად სააკაშვილისთვის და „ნაცმოძრაობისთვის“. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სააკაშვილი და მისი პარტია უკვე საბოლოოდ ჩამოწერეს ამერიკელებმა და მათთვის აღარაფერს წარმოადგენენ. ვიმეორებ, თუ ეს ინფორმაცია მართალია, სააკაშვილსა და მის პარტიას ამერიკის ხელისუფლების არანაირი, უმცირესი მხარდაჭერის იმედიც არ უნდა ჰქონდეთ. არ გამოვრიცხავ, რომ, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამერიკის ხელისუფლებამ, აქ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიც იყოს რაღაც კავშირში. ასეთ გადაწყვეტილებას მარტო საელჩოს დონეზე ვერ მიიღებდნენ, ეს მხოლოდ მაღალ სახელისუფლებო დონეზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებაც შეიძლება იყოს“. – განცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

ჰოდა, ჩვენც მაგას ვამბობთ, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიძლება იყოს. თუ დადასტურდა, რომ მიხეილ სააკაშვილს სამუშაოსაც არ აძლევენ ამერიკაში, ცხადია, ის ამერიკის ხელისუფლებამ საბოლოოდ გაწირა. ამას რა მოჰყვე-

პოლიტიკურ თავშესაფარს ამერიკაში მიიღებს და ამას არც „ნაციონალები“ მალავენ.

მეტიც, იმ „ნაცებს“, ვისაც დასაჭერად აქვთ საქმე, სწორედ იმის იმედი ჰქონდათ, რომ ამერიკაში გაიქცეოდნენ და იქ მიიღებდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს და მართლმსაჯულებას ამით აარიდებდნენ თავს. საქმე კი, სავარაუდოდ, იქითკენ მიდის, რომ შეიძლება მიხეილ სააკაშვილსაც უარი უთხრან პოლიტიკურ თავშესაფარზე ამერიკაში. თუ სამუშაო ვიზაზე უარი უთხრეს, ჩანს, რომ მისმა ლობისტებმა ყველანაირი გავლენა დაკარგეს და ვეღარაფრით ეხმარებიან. ამერიკის ხელისუფლებამ მართლა გამოწურული ლიმონივით მოისროლა მიშა, მისგან მიიღო მაქსიმუმი, ყველაფერი, რაც სჭირდებოდა და დღეს უკვე ერთცენტიანის ფასიც აღარ აქვს. თუ მიშა გაწირა ამერიკის ხელისუფლებამ, უკვე ნათელი ხდება, რომ არც ერთ „ნაციონალს“ არ გადაუსვამს თავზე ხელს და პოლიტიკურ თავშესაფარსაც, სავარაუდოდ, არ მისცემს.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კოკისპირულმა წვიმებმა პრობლემები წყალტუბოს, ვანსა და სამტრედიასაც შეუქმნა



კოკისპირული წვიმების გამო იმერეთის სამ რაიონს – წყალტუბოს, ვანსა და სამტრედიას პრობლემები შეექმნა. იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის განცხადებით, უამინდობასთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი რაიონებში არსებულ სიტუაციას მონიტორინგს ინტენსიურად უწევს.

შტაბის ინფორმაციით, დაიტბორა ვანის, სამტრედიისა და წყალტუბოს რაიონების რამდენიმე სოფელი. ვანის რაიონის სოფელ შუამთაში მოსახლეობას წყალი საცხოვრებელ სახლებში შეუვარდა, ხოლო სულორსა და დიხაშხოს ამ წუთებში ელექტროენერგია არ მიეწოდება, რადგან ძლიერმა წვიმამ ელექტროსადენები დააზიანა.

იმერეთის რეგიონში შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი ქვეყანაში შექმნილ ცენტრალურ შტაბთან ერთად კოორდინირებულად მუშაობს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ხელისუფლებამ 1-ელ ოქტომბერს ხალხს ანგარიში უნდა ჩააბაროს“




პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ ვალდებულია, ხელისუფლებაში მოსვლის ორი წლისთავზე, ანუ 2014 წლის 1-ელ ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობას ანგარიში ჩააბაროს.

„ბატონო ხელისუფალნო, თქვენ ხალხს დაჰპირდით სამართლიანობის აღდგენას, დაჰპირდით საარსებო მინიმუმს, დაჰპირდით საბანკო პრობლემების მოგვარების სისტემას, დაჰპირდით წართმეულის დაბრუნებას, დაჰპირდით კიდევ ბევრ რამეს. პირველ ოქტომბერს, ხელისუფლებაში თქვენი მოსვლიდან ორი წლის თავზე ჩააბარეთ ანგარიში ხალხს.

ჩვენ, საინიციატივო ჯგუფის წევრები, დავაკვირდებით ამ პროცესს და ნოემბრის დასაწყისში მივცემთ შეფასებას იმას, ხელისუფლება ჩააბარებს თუ არა და თუ ჩააბარებს ანგარიშს, იქნება თუ არა ის გამომხატველი ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, ხალხის განწყობის. ყოველივე ამის შემდგომ, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რა ფორმით და რა მასშტაბით გავაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას. ჩვენი პოზიცია ურყევია: ხელისუფლების საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს ხალხის კონტროლს, უნდა გამოირიცხოს ამ საქმის მონოპოლიზება რომელიმე პოლიტიკური ძალისგან, მით უფრო „ნაციონალური მოძრაობისგან“, რომელმაც არათუ არ შეასრულა მისი საარჩევნო პროგრამები, გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს, ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ეროვნულს, ეროვნულ ცნობიერებას. დღეს, როცა ასე თავხედურად და გამომწვევად იქცევა „ნაციონალური მოძრაობა“ და პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი, როცა მილიონებით ფინანსდებიან დასავლური სექტანტური ჯგუფების მსახური არასამთავრობო ორგანიზაციები და „ნაცების“ სატელიტი პარტიები, როცა ასე თავხედურად იქცევა „რუსთავი 2“, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი პოლიტიკური ძალების, საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობას მმართველ პოლიტიკურ ძალასთან და საქართველოს მოსახლეობასთან. ჩვენ ვთვლით, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა უნდა იყოს თვითკრიტიკული და ამავე დროს, მობილიზებული იმ ურთულესი პრობლემების დასაძლევად, რომელთა გამოც გაწამებულია საქართველოს მოსახლეობა. ჩვენ პირდაპირ ვეუბნებით მმართველ პოლიტიკურ ძალას: მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე თქვენ ეს წარმოგიდგენიათ და გამოფხიზლდით.

ოქტომბრის ანგარიშმა ეს უნდა დაადასტუროს – უიმედობასა და დეპრესიაში ჩავარდნილ ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას იმედი მისცეს და იმედიანი მოქმედება დაანახოს. ვიფიქროთ საქართველოზე და არა სახელისუფლებო სკამებზე“. – განაცხადა შაშიაშვილმა. (რეპორტიორი)



# ვის დაიჭერენ მერიის სამსახურში მონაცემთა ბაზის განადგურებისთვის?

**ყოფილი ხელისუფლების დროს, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა დასაქმების სამსახურად“ ქცეულ „თბილისის განვითარების ფონდში“ სტრუქტურული ოპტიმიზაცია მიმდინარეობს. რა პრინციპით ათავისუფლებენ კადრებს და როგორ შეძლებს ფონდის ხელმძღვანელობა, ხსენებული საკადრო ოპტიმიზაცია ისე განახორციელოს, რომ მას პოლიტიკური სარჩული აარიდოს?**

**„ალიას“ „თბილისის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი, თემურ ხომერიკი ესაუბრა:**

– „თბილისის განვითარების ფონდში“ 22 ადამიანით მცირდება საშტატო ერთეული. ხელფასები უკვე განახევრებულია. საკმაოდ სოლიდური იყო. ვცდილობთ, მოსახლეობის ნდობა აღვიდგინოთ. მოგეხსენებათ, რომ ფონდის დამოკიდებულება თბილისის მაცხოვრებლების მიმართ, მაინცდამაინც დიდი სიფაქიზით არ გამოირჩეოდა, რასაც საზოგადოებაც უწყობდა ხელს.

**— რას გულისხმობთ?**

– მოსახლეობის ნაწილი, ფონდთან გარიგებების ფასად, იმას იღებდა, რაც არ ეკუთვნოდა. მაგალითად, ფართი რომ დაინგრეოდა, იმაზე მეტს იღებდა, ვიდრე ჰქონდა. ანუ ნაწილი ორმაგ ფართს ისაკუთრებდა, ნაწილი კი საერთოდ, უყველაფროდ რჩებოდა, ანუ გარიგებაში შედიოდნენ ფონდთან და ალბათ, ამაში ვიღაცას გარკვეულ გასამრჯელოსაც უხდიდნენ. ხელშეკრულებებში თავიდანვე იყო ჩადებული ეს დისკრიმინაციული მიდგომა და ფონდს ჰქონდა უფლება, ის ეკეთებინა, რაც უნდოდა.

**— თუ მსგავსი გარიგებების შესახებ თქვენთვის ცნობილია, მიმართავთ შესაბამის სამსახურებს?**

– ჩვენი თხოვნით ფონდში შემოვიდა შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო, მასალები გადაგზავნილია ქალაქის აუდიტში, აუდიტის ცენტრალურ სამსახურში და ჩვენ მოვითხოვთ, რომ გამოკვლეულ იქნას, რატომ გაიხარჯა სახელფასო ფონდი ისეთ ადამიანებზე, რომლებიც საერთოდ არ მოდიოდნენ ფონდში სამუშაოდ.

**— თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, რამდენიმე ადამიანი გაათავისუფლეთ სამსახურიდან და თანამშრომელთა რა კატეგორიას შეეხო ეს პროცესი?**

– თანამშრომელთა ნაწილმა ფონდში საბუთები მოიპარა. ამის გამო მოიხსნა თანამდებობიდან ფონდის იურისტი და ა.შ. ნაწილმა მონაცემთა ბაზები გაანადგურა, თანამშრომელთა ნაწილს კი, როცა მოვთხოვეთ ცნობები წარმოედგინათ ნარკოლოგიურიდან და ნასამართლობის შესახებ, გაგვინაწყენდნენ. ერთ-ერთი ამის გამო სასამართლოშიც გვიჩივის. მან ვერ მოიტანა ცნობა, რადგან მას ნარკოტიკების რეალიზაციის გამო პირობითი სასჯელი ჰქონდა მისჯილი. ფონდში, ასევე, სხვა ბევრი ადამიანი მუშაობდა ნასამართლევი. მერიის ყოფილი ჩინოვნიკები, ყოფილი გუბერნატორები, გამგებლები...

**— კონკრეტულად ვინ?**

– ეკა ხერხეულიძე, თენგიზ გუნავა, ჯარჯი დოლიძე, ლექსო თაბუაშვილი, დიმიტრი ავალიანი... ყველა, ვინც კი ოდესმე, სადმე გამგებელი ყოფილა, ყველა აქ იყო დასაქმებული. ისეთი ადამიანები იყვნენ დასაქმებული, რომლებსაც არანაირი კვალიფიკაცია არ ჰქონდათ – მეღვინეები, მასაჟისტები და ა.შ. რომლებიც 2000-2500 ლარს იღებდნენ ხელფასის სახით და იკავებდნენ სოლიდურ თანამდებობებს. ამ ტიპის ადამიანები დავითხოვეთ და დღეს ეს ადამიანები გვაკრიტიკებენ და საუბრობენ, რომ მათ გასაშვებად მოვიგონეთ რეორგანიზაცია. არა, რეორგანიზაციას ვახორციელებთ ოპტიმიზაციისთვის.

ფონდსა და კონკრეტულ ფირმებთან გაფორმებული ძალიან ბევრი კონტრაქტი დაგვხვდა, რომელთა ჩაჭრაც ძალიან ძნელია. მილიარდობით ლარია გადარიცხული სხვადასხვა ფირმების ანგარიშზე, ხოლო ქალაქის მერია მილიონებს ეძებს, რომ როგორმე სოციალურად გაჭირვებულ ხალხს პრობლემები შეუმსუბუქოს.

**— ბატონო თემურ, როცა საკადრო ოპტიმიზაცია ხორციელდება სამსახურებში, მართლაც ჩნდება მოსაზრება, რომ ეს შეგნებულად კეთდება — არასასურველი კადრების თავიდან მოსაცილებლად. ხომ იცით, „ნაციონალები“ რა ამბავს ატეხენ, სამსახურიდან თანამშრომლებს თავიანთი ახლობლების დასაქმებისთვის უშვებენო.**

– ვინც გასათავისუფლებელი იყო, თავიდანვე, კანონის ფარგლებში გავათავისუფლე, არავის მოვრიდებივარ. ვინც დარჩა, იმ ადამიანებმა, საკუთარი ნებით, ოპტიმიზაციის კონკურსში უნდა მიიღონ მონაწილეობა. თვე-ნახევარია ამ ფონდში ვმუშაობ და ვაკვირდები კადრების მუშაობას. ზოგიერთმა ძველმა კადრმა, მართლაც რომ გამოიჩინა თავი მუშაობით. ის კადრები, რომლებმაც თბილისში რაიმე ღირებული შექმნეს, ვცდილობთ, შევინარჩუნოთ. მე საკუთარი მძღოლიც კი არ შემიცვლია. ყოფილი ხელისუფლების დროს, სახელმწიფო სამსახურზე ჩემსა და ვანო მერაბიშვილს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო ვთქვი უარი. ჩემი მძღოლი გვარად მერაბიშვილია. სხვა ნიშნით რომ ვიღებდე გადაწყვეტილებებს, მაშინ მე ეს ადამიანი უნდა გამეშვა პირველ რიგში სამსახურიდან, მაგრამ არ მაქვს მსგავსი აკვიატება. კონკურსია, შემოიტანენ ადამიანები საბუთებს და ვინც არ იმსახურებს გაშვებას, ისინი, ცხადია, დარჩებიან თანამდებობაზე, მაგრამ არაკომპეტენტური თუ არის კადრი, ის წავა. არაპროფესიონალი კადრების მოყვანას ნამდვილად არ ვაპირებ.

**— მაინც, როგორ შეძლებთ ამ საკითხს პოლიტიკური სარჩული აარიდოთ?**

– კომისია ისეა დაკომპლექტებული, რომ მის მუშაობაში პროფკავშირებიც არიან ჩართულები. ასევე არასამთავრობო სექტორია ჩართული, ასევე, თბილისის ჰამქარი. მეც შემიძლია ერთპიროვნულად დავნიშნო კადრები, მაგრამ ასე არ ვიქცევი. 8 კაცი – მრჩევლები, მოადგილეები და სამსახურის 5 უფროსი მე დავნიშნე, მაგრამ ამაზე მეტად არ ვაპირებ, შორს წავიდე.

**— ეს 8 ადამიანი არ არიან ე.წ. თქვენი კადრები?**

– ჩემი კადრები ესენიც არ არიან, სიმართლე რომ გითხრათ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროებში, შესაბამის ქვედანაყოფებს ხელმძღვანელობდნენ. მე ეს ადამიანები მოვიწვიე, უმუშევარი ადამიანები არ მომიყვანია. რამდენიმე უცხოეთიდანაც კი ჩამოვიყვანეთ. დანარჩენი კადრები კონკურსის წესით შეირჩევიან და ვისაც აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს, თუმცა აქვე ვეტყვით, რომ ის ხელფასები აღარ არის, რაც ადრე იყო.

პოლიტიკურ სარჩულთან ბრძოლა არ იქნება ადვილი, რადგან ხალხი მიჩვეულია, რომ ამ ფონდში, წლების განმავლობაში პოლიტიკური ნიშნით დანიშნული კადრები მუშაობდნენ. იმ 22 ადამიანიდან, რომლებიც თავიდან გავათავისუფლეთ, 15-მა თავადვე დატოვა თანამდებობა, როცა ყოველდღე სამსახურში სიარული მოვთხოვეთ და საქმე შევუფასეთ.

**— ოპტიმიზაცია რამდენ ადამიანს შეეხება?**

– 39 მთავარ სპეციალისტსა და სპეციალისტს.

**— ხელფასებზე საუბრობდით, ახლა რამდენია თანამშრომლის საშუალო ხელფასი?**

– პირდაპირ გეტყვით, ჩემი წინამორბედის ხელფასი იყო 10 ათასი ლარი. გარდა ამისა, ერთი ამდენ დანამატს იღებდა, ასევე, პრემიებს. გასულ წელს, „თბილისის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი თვეში, საშუალოდ, 20 ათას ლარს იღებდა ხელფასს. ასევე, არსებობდა პრივილეგირებული ხალხი – თაბუაშვილი, ავალიანი... ის ხალხი, მერიიდან რომ დააკავეს ერთი პერიოდი, სამსახურების უფროსები, ყველა აქ გადმოიყვანეს და ეს ადამიანები თვეში, საშუალოდ, 26 ათას ლარს იღებდა. ახლა, მე პირადად მაქვს 2950 ლარი, ამდენივე დანამატი. ხელზე ვიღებ 4500 ლარამდე მაქსიმუმ, მოადგილე – 4000 ლარამდე, დანარჩენი პერსონალი – 1500-2000-2500 ლარს.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ანუკი არეშიძე ნუნუკა თამაზაშვილს გამოესარჩლა




ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლე ნუნუკა თამაზაშვილი სოციალურ ქსელში ჩაცმულობის გამო გააკრიტიკეს, რასაც კახა კალაძის მეუღლე, დიზაინერი ანუკი არეშიძე გამოეხმაურა.

„ფეისბუკ“-მომხმარებლებმა ნუნუკა თამაზაშვილს ის კაბა დაუწუნეს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტთან და პირველ ლედისთან შეხვედრისას ეცვა.

„რამდენიმე დღეა ვადევნებ თვალყურს პრემიერისა და მისი მეუღლის ფოტოზე ამტყდარ აჟიოტაჟს, კომენტარები გააკეთეს და შემდეგ უკვე აიტაცეს პიროვნებებმა, რომლებიც საერთოდ ვერ ერკვევიან მოდაში და, მით უმეტეს, პირველი პირების „დრეს კოდში“, რომელსაც ცალკე განათლება სჭირდება და მხოლოდ ტენდენციების ცოდნა არაა საკმარისი.

ქალბატონ ნუნუკას აცვია ძალიან სწორად, ქალბატონს „დრეს კოდის“ გათვალისწინებით ოფიციალურ მიღებაზე უნდა ეცვას კოლგოტი (ხორცისფერი), კაბა უნდა იყოს აუცილებლად მუხლსქვემოთ, რაც შეეხება სარჩულს, ესაა თვითონ ამ კაბისა და იმ დიზაინერის გადაწყვეტილება, რომელმაც ეს ულამაზესი კაბა გააკეთა, რათა მაანის სილუეტს გასმოდა უფრო კარგად ხაზი! სხვათა შორის, უძლიერესი სტაფი ჰყავს ამ დიზაინერს, ერთ-ერთი მათგანი გალიანოა, რომელიც საფრანგეთის პირველი ლედის დიზაინერი იყო.

მიკვირს განსაკუთრებით იმ ხალხისგან კრიტიკა, რომლებიც სანდრას ჩაცმულობაზე ხმას არ იღებდნენ (რომელიც არასოდეს არ იცავდა „dress code“-ს!), ახლა კი გიჟივით წერს ნუნუკას ფოტოზე, რომელმაც უამრავი კომპლიმენტი მიიღო!“ – წერს ანუკი არეშიძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## იძულებით ქორწინება კახეთში



ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი Anti-Violence Network of Georgia სოციალურ ქსელში არასრულწლოვანი გოგონას ქორწილის ფოტოს აქვეყნებს, რომელიც ძალადობის მორიგ ფაქტს ასახავს, კერძოდ, ორგანიზაცია წერს, რომ „ფოტოზე ასახულია კახეთის რეგიონის ერთ-ერთ სოფელში გამართული არასრულწლოვანი გოგოს ქორწილის კადრი, რომელიც გარიგებით გათხოვდა. 17 წლის პატარძალს ცრემლი წასკდა სახლის დატოვებისას. ის მომავალ მეუღლეს პირველად ნიშნობის დღეს შეხვდა“. (ნიუპოსტი)

## კლუბებს ფინანსურად ფეხბურთის ფედერაცია დაეხმარება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებს შორის შეხვედრაზე შექმნილი მდგომარეობა განიხილეს: რადგან მიღებული დაპირებების შესრულებაზე კლუბებს უარი ეთქვათ და ზოგადი ფინანსური მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, მოიძიოს საჭირო სახსრები და ამა წლის 31 დეკემბრამდე კლუბებს თავად გაუწიოს ფინანსური დახმარება.

შესაბამისად, თანხების მოძიების შემდეგ, უმაღლესი და პირველი ლიგის ყველა კლუბი მიიღებს გარკვეულ თანხას. ამასთანავე, მომავალ 2015 წელს, ფედერაცია შეასრულებს დაპირებას და კლუბებს კვლავ დაეხმარება. (news.ge)

# მერიის საიდუმლო სია

დღეს საქართველოში არსებობს უამრავი ეროვნული ფედერაცია თითქმის ყველა სპორტულ სახეობაში. მაგალითად, ფიგურული სრიალის, ბატუტზე ხტომის, ბეისბოლისა და სოფტბოლის, ცხენოსნობის, ხუთჭიდის, ბადმინტონის, ბალახის ჰოკეის და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობ ფეხბურთზე, კალათბურთზე, ჭიდაობაზე, რაგბსა და ფრენბურთზე. კი, ბატონო, კარგია, რომ არსებობს, რაც მეტი იქნება, მით უკეთესი, მაგრამ, როგორც ამბობენ, აქედან თითქმის ყველა ფედერაცია „ნაციონალებს“ და კერძოდ გიგი უგულავას თავიანთი საფარის ქვეშ ჰყავდათ მოქცეული, აქედან მიედინებოდა საარჩევნო ყუთებში მათ სასარგებლოდ ხმები. თუმცა არა მხოლოდ ხმები, ჩვენ არაერთხელ გავხდით მოწმეები იმისა, როგორ აქტიურობდნენ კრიტიკულ მომენტებში, მაგალითად, მოჭიდავეები.

ამ დღეებში „ალიას“ გადასცეს იმ მერიიდან. „ალიას“ მიერ მოპოვებული სია დათარიღებულია 2014 წლით. ბოლო ხელფასები გაცემულია აგვისტოში. როგორც მერიაში კულუარულ დონეზე ამბობენ, უკვე დადგა დრო, „ნაციონალურ“ მოსყიდვას დაესვას წერტილი, ამ ადამიანებს ყოველთვიურად 500 ლარს იმიტომ უხდიდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ და არჩევნების პერიოდში მათი საშუალებით ხმებიც მოეზიდათ. მაშინ როგორ მოხდა, რომ ეს საკითხი ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც, მთელი 2 წლის განმავლობაში გასაიდუმლოებული დარჩა?

როგორც პარლამენტარი და მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, სოსო ჯაჭვლიანი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, სანამ დავით ნარმანიამ არ ჩაიხედა დოკუმენტებში, მანამდე ხმას არავინ იღებდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტზე მერიაში საუბრები მხოლოდ ახლა დაწყებულა. სანამ მის კომენტარს შემოგთავაზებთ, გაგაცნობთ მკლავჭიდის მწვრთნელების ვინაობას:

1. გურჩიანი ერეკლე; 2. თვალიაშვილი გიორგი; 3. დემეტრაშვილი გიორგი; 4. ნიორაძე ლევანი; 5. ხვედელიძე მალხაზ; 6. ჯუღელი გივი.

სოსო ჯაჭვლიანის თქმით, ის ამ ადამიანებიდან მხოლოდ ერთს იცნობს – ერეკლე გურჩიანს, რომელიც ახალი ხელისუფლების მოსვლამდე მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. მან ჯაჭვლიანი შეცვალა 2011 წლის 26 მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგ, როცა ჯაჭვლიანი „კაპეზეში“ გამოამწყვდიეს:



– რას ლაპარაკობ? მე მკლავჭიდის ეროვნულ ნაკრებში მთავრობა ორ მწვრთნელს ძლივს მიფინანსებს. ამის შესახებ მეც გავიგე, თბილისის მერიაში ისეთი დოკუმენტები ამოვიდა, ხელფასები ისეთ ადამიანებს აქვთ დანიშნული, გაოცდები. ეგეც ვნახე, რომ თურმე მე მკლავჭიდის ფედერაციაში მყავს 6 მწვრთნელი. აქედან მე ვიცნობ მხოლოდ ერთ ადამიანს – ერეკლე გურჩიანს. ეს ადამიანები წლების განმავლობაში იღებდნენ ფულს, ერთი მკლავჭიდელი მაინც მაჩვენონ, ვინ გაწვრთნეს და რომელ დარბაზში?

**„მე მკლავჭიდის ეროვნულ ნაკრებში მთავრობა ორ მწვრთნელს ძლივს მიფინანსებს. ამის შესახებ მეც გავიგე, თბილისის მერიაში ისეთი დოკუმენტები ამოვიდა, ხელფასები ისეთ ადამიანებს აქვთ დანიშნული, გაოცდები. ეგეც ვნახე, რომ თურმე მე მკლავჭიდის ფედერაციაში მყავს 6 მწვრთნელი. აქედან მე ვიცნობ მხოლოდ ერთ ადამიანს“**




**როგორც მერიაში კულუარულ დონეზე ამბობენ, უკვე დადგა დრო, „ნაციონალურ“ მოსყიდვას დაესვას წერტილი, ამ ადამიანებს ყოველთვიურად 500 ლარს იმიტომ უხდიდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ და არჩევნების პერიოდში მათი საშუალებით ხმებიც მოეზიდათ**

მწვრთნელების სია, რომლებიც სხვადასხვა სპორტულ სახეობებში მოღვაწეობენ და ხელფასებს ოფიციალურად თავიანთივე ფედერაციებში იღებენ, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ ისინი ბოლო 3 წლის განმავლობაში ასევე ფინანსდებოდნენ თბილისის

**— სოსო, ეს ადამიანები მერიიდან იღებდნენ ხელფასებს, დაფიქსირებული თუ არის, რაში იღებდნენ ფულს?**

– არაფერში... გეუბნები, ამ ვითომ მწვრთნელებს საერთოდ არ ვიცნობ. ჩემი ფედერაციის მაგალითზე გეტყვი, რომ ესენი არ არიან მწვრთნელები. ამის შესახებ ახლა გავიგე, აქამდე არაფერი არ ვიცოდი. უბედურება ის არის, რომ ეს ადამიანები ამ წუთამდე იღებენ ხელფასებს არაფერში. ამიტომაც გაიძახიან „ნაციონალები“ ჩვენ დავბრუნდებითო, ამდენი „თანამებრძოლი“ ჰყავთ გაფორმებული და რატომაც არ ექნებათ დაბრუნების იმედი? მარტო სპორტის სახეობებში „ნაციონალებს“ გაფორმებული ჰყავდათ 400-ზე მეტი ადამიანი, ვითომ მწვრთნელები. დავით ნარმანია რამდენიმე თვის წინ გახდა მერი. ამ საკითხის შესწავლა მიდის და როგორც მე მითხრეს, ეს უმსგავსობა შეწყდება. აქ მინიმალური ხელფასი 500 ლარი იყო. რამდენ არამზადას უძლებს ეს ქვეყანა და როგორ უძლებს, მე კიდევ მიკვირს. მე არ ვიცი, რა მდგომარეობაა სხვა სფეროებში, როგორც მითხრეს, ხელოვნებაში, კულტურაში, მედიცინაში და სხვაგან ასეულობით ადამიანი ჰყავთ გაფორმებული. ამიტომაცაა ატეხილი რია-რია. ეს ყველაფერი სასწრაფოდ უნდა დაიდოს, ალბათ უახლოეს ხანში ირაკლი ღარიბაშვილს შევხვდებით და ამ საკითხზეც იქნება ლაპარაკი. სასწრაფოდ უნდა გაირკვეს ყველაფერი, დღემდე „მაყუთს“ იღებდნენ, არც კი რცხვენიათ. ნარმანიას მოსვლამდე ამ ყველაფერს მერიაში მალავდნენ. „ნაციონალები“ ისე ფულს ვინმეს აძლევდნენ? თუ აძლევდნენ, ეს ადამიანები დავალებებსაც იღებდნენ.

**ერეკლე გურჩიანი ბრალდებებს უარყოფს და ამბობს, რომ ეს ხელფასი კი არა, დახმარებაა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დააწესა:**

– ვინც ახლა ჩამომითვალეთ, ყველა მწვრთნელია. ახლაც არიან ქალაქის ფედერაციაში. მერიამ შექმნა ქალაქის ფედერაციები და იქიდან გვიხდიდნენ.

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პანკისის ხეობაში ძმამ საკუთარი და ცივი იარაღით დაჭრა




პანკისის ხეობის სოფელ დუისში ძმამ საკუთარი და ცივი იარაღით დაჭრა. 33 წლის რუსუდან ხანგოშვილს ჭრილობები გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული. დაზარალებულს გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია ახმეტის საავადმყოფოში ჩაუტარდა. მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, მოგვიანებით იგი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„გულ-მკერდის არეში მიყენებული ჭრილობები საკმაოდ სერიოზულია. დაზიანებული აქვს მუცლის ღრუს ორგანოებიც. ამ ეტაპზე სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა არ არის“, – განაცხადა ექიმმა მზია დევდარაიძემ.

ადგილობრივების თქმით, ინციდენტი და-ძმას შორის ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა. ბრალდებული, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციით, ფსიქიკური პრობლემები აქვს, პოლიციამ უკვე დააკავა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართველ კანონიერ ქურდს დეპორტი ელოდება



მოსკოვში, ქალაქის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოსა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს ქართველი კანონიერი ქურდი, 41 წლის გიორგი ჯანელიძე. დაკავების ოპერაცია განხორციელდა ცენტრალურ უნივერმაღში პეტროვკაზე.

რუსული მედიის ცნობით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება, კანონიერ ქურდს ნიკულინსკის სასამართლოს გადაწყვეტილებით სამშობლოში დეპორტაცია ელოდება. მედიაში აგრეთვე მიანიშნებენ, რომ ჯანელიძე ერთი წლის წინათ უკვე იყო დაკავებული და შემდგომ გაძევებული რუსეთიდან, თუმცა ის, მიუხედავად იმისა, რომ იყო დეპორტირებული, ხელმეორედ აღმოჩნდა მოსკოვის იზოლატორში, კვლავ დეპორტაციის მოლოდინში. (ნიუპოსტი)

## თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, თაღლითობის ფაქტზე მზია ტატიაშვილი დააკავა. გამოძიებით დადგენილია, რომ ტატიაშვილი ერთ-ერთ მოქალაქეს დაჰპირდა, ბრალდებული პირის შეწყალების სანაცვლოდ, სასჯელაღსრულების სისტემისა და შეწყალების კომისიის მაღალჩინოსნებს გადასცემდა 15 000 აშშ დოლარს, რის შედეგადაც, ბრალდებული სასჯელისგან განთავისუფლდებოდა.

აღნიშნულ თანხას მზია ტატიაშვილი მოტყუებით, თაღლითურად თავად დაეუფლა. გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

**— ახლა თქვენ ქალაქის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი ხართ, ხომ?**



**„...კანონი არ დაგვირღვევია. ჩვენ ახალ თაობას ვზრდით, ამაში რა არის ცუდი? დღეს ისე გამოდის, თითქოს არაფერი გამიკეთებია და ვარ დამნაშავე... თითქოს ჩვენ „ნაციონალებმა“ მოგვისყიდეს, ეს არის ძალიან ცუდი ბრალდება, ეს დახმარება იყო სპორტის განვითარებისთვის, ჩვენ ვაჩვენეთ შედეგებიც“**

– დიახ, ჩვენი ფედერაცია არის ცალკე იურიდიული პირი, ჩემი დაფუძნებულია უშუალოდ.

**— ერეკლე, არსებობს პრეტენზია, რომ თქვენ 2012 წლამდე იყავით მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და დამატებით მერიიდან იღებდით სხვა მწვრთნელებთან ერთად ხელფასს, ანუ იყავით „ნაციონალების“ მიერ მოსყიდული.**

– მე და ეს მწვრთნელები ვაკეთებდით დიდ საქმეს, ვემსახურებოდით სპორტის განვითარებას.

**— ამიხსენით, მერიიდან ცალკე რატომ ფინანსდებოდით?**

– მერიამ ოფიციალურად დაიწყო თბილისის ფედერაციების დაფინანსება, ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია. ჩვენ ახალ თაობას ვზრდით, ამაში რა არის ცუდი? დღეს ისე გამოდის, თითქოს არაფერი გამიკეთებია და ვარ დამნაშავე. მერიაში ქალაქის 38 ფედერაცია შედის. ახლა ფულის მოცემა კი არ უნდა შეგვიწყვიტონ, პირიქით, დახმარებები უნდა გაგრძელდეს, ჯანმრთელი თაობა უნდა გავზარდოთ.

**— თქვენ პირადად რამდენს იღებდით ყოველთვიურად?**

– მე ვიღებდი 500 ლარს, მწვრთნელებს გვეხმარებოდნენ.

**— ეს როდის დაიწყო?**

– 3 წელი იქნება... ეს იმ ხელისუფლებამ დაიწყო და არანაირი შეხება არა აქვს სხვა რამესთან.

**— ფაქტია, რომ „ნაციონალებმა“ 2011-ში დაიწყეს ფულის მოცემა.**

– თითქოს ჩვენ „ნაციონალებმა“ მოგვისყიდეს, ეს არის ძალიან ცუდი ბრალდება, ეს დახმარება იყო სპორტის განვითარებისთვის, ჩვენ ვაჩვენეთ შედეგებიც.

როგორც ხედავთ, აქ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციაც იჩენს თავს – რატომ მოხდა ეროვნული ფედერაციების დუბლირება და შეიქმნა ქალაქის ფედერაციები, სადაც იგივე ხალხია შეყვანილი? ხომ არ არის აქ ჩადებული გიგი უგულავას ხრიკები? როგორც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელი, გიორგი ჭანიშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეროვნული ფედერაციების მთავარი დამფინანსებელი არის სამინისტრო:

„მერიამ გამოყო ცალკე თანხები, ისინი ცალკე აფინანსებენ. სპორტის მიმართულება ცალკეა, სპორტსმენებსაც აფინანსებენ და მწვრთნელებსაც. მე არ ვიცი, იქ რა და როგორ ხდება, მაგრამ შემიძლია, რომ ეს დაგიდასტუროთ. ჩვენ მათ ვაძლევთ ხელფასებს, მაგრამ დამატებით მერიიდანაც გაიცემა“.

**თუ მკლავჭიდის სფეროში სულ 6 კაცი ფიგურირებს, ეს სია უკვე ვრცელია ჭიდაობაში:**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

1. დავითაია დემერლანდი; 2. ხარაზოვი ვილიამი; 3. შელია ბაჩიკო; 4. ჭყონია ალექსანდრე; 5. კიკაძე კობა; 6. სულთანიშვილი მამუკა; 7. ქორიძე ხვიჩა; 8. რეხვიაშვილი დევი; 9. ბერიშვილი იოსებ; 10. ტატიშვილი ლაშა; 11. თინიკაშვილი ვაჟა; 12. გოგბერაშვილი პარმენ; 13. გოგინაშვილი ბესიკ; 14. ჯინჭველაშვილი გიორგი; 15. ტყეშელაშვილი კობა; 16. წერეთელი ავთანდილ; 17. ბოძაშვილი ვაჟა; 18. წიქარიძე ზურაბ; 19. ყიფიანი თამაზ; 20. სვანიძე ამირან; 21. ფევაძე ოთარ; 22. მჟავანაძე უჩა; 23. აფრიმაშვილი ამირან.

ეს არის სია ჭიდაობის ერთ სახეობაში, სხვა სიები არსებობს თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში. ამაზე უკვე „ალიას“ მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ. სწორედ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელებმა აუტეხეს ამ დღეებში ერთი ამბავი თავიანთ პრეზიდენტს, ლუკა კურტანიძეს და კვერცხებიც დაუშინეს.



**„დავიმსახურეთ და ვზრდით ბავშვებს, მომავალ თაობას, ამაში არის რამე ცუდი? თუ ვინმე ისე ჰყავთ გაფორმებული, როგორც მკვდარი სული, ეგ უკვე მე არ ვიცი. დღეს მთელი მსოფლიო გადასულია საბაზრო ეკონომიკაზე, თუ იქმნება რეალური პროდუქცია, ანაზღაურება უნდა მივიღო. თუ ვინმეს რამეში ეჭვი ეპარება, იმან დასკვნები გააკეთოს, ვისზე და რაზეა ლაპარაკი“**

**ერთ-ერთი მწვრთნელი, ლაშა ტატიშვილი „ალიასთან“ საუბარში აცხადებს:**

– ჩვენ დაგვინიშნეს ხელფასები, ეს დავიმსახურეთ და ვზრდით ბავშვებს, მომავალ თაობას, ამაში არის რამე ცუდი? თუ ვინმე ისე ჰყავთ გაფორმებული, როგორც მკვდარი სული, ეგ უკვე მე არ ვიცი. დღეს მთელი მსოფლიო გადასულია საბაზრო ეკონომიკაზე, თუ იქმნება რეალური პროდუქცია, ანაზღაურება უნდა მივიღო. თუ ვინმეს რამეში ეჭვი ეპარება, იმან დასკვნები გააკეთოს, ვისზე და რაზეა ლაპარაკი, სპორტს ცოტა სხვა ჭრილში შეხედონ, ჩვენ წლების განმავლობაში 1 დოლარზე რომ ვმუშაობდით, ამას სცენ პატივი, ამაზე ლაპარაკი უხამსობაა.

**— ისე, ერთ რამეში მოგედავებიან, როცა მერიიდან ფინანსდებით, ეს არ არის საბაზრო ეკონომიკა.**

– ზუსტად საბაზრო ეკონომიკაა, როცა მუშაობ, უნდა მიიღო, თუ არ მუშაობ, არ უნდა მიიღო.

**— უნდა მიიღო, მაგრამ არა სახელმწიფოსგან. როცა თქვენი საქმიანობა მერიაზე გადის, ეს არ არის საბაზრო ეკონომიკა.**

– როცა არ არის კანონმდებლობა, როცა სპორტის კანონი მოუწესრიგებელია და ამაზე ლაპარაკი არავის არ უნდა, რა უნდა გააკეთო, სად უნდა წახვიდე? სად უნდა წავიდნენ ბავშვები, რომლებსაც ჭიდაობა უნდათ?

**— ჭიდაობის ფედერაციაში.**

– მე 1961 წლიდან ამ საქმეში ვარ და კარგად ვიცი... როდესაც ქალაქში არ არის ბავშვთა სკოლა, ვისი ბრალია? როდესაც არ არის დარბაზები, ვისი ბრალია?

**— მერიის.**

– ამ შემთხვევაში სად მივდივართ?

**— ისევ მერიაში.**

– მე თანახმა ვარ, რომ მერიის ფინანსებში იყოს სრული გამჭვირვალობა და ვინც საქმეს აკეთებს, იმან თავისი უნდა მიიღოს.

მოკლედ, როგორც ხედავთ, ამ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა ყველას თავისებურად ესმის. აქ საინტერესო იქნებოდა ლუკა კურტანიძის პოზიციაც, ანუ მისი აზრი საბაზრო ეკონომიკისა და „ნაციონალური“ პოლიტიკის შესახებ, მაგრამ მე პირადად 7-ჯერ ვცადე მასთან დაკავშირება, მაგრამ 7-ჯერვე მომწერა, ცოტა ხანში დაგირეკავო. ახლა, მე მისი ფედერაციის რომელიმე მწვრთნელი არ ვარ, რომ კვერცხები დავუშინო, ზუსტად 8 საათი ველოდე და ბოლოს ხელი ჩავიქნიე. ისე, როგორც ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, ზოგიერთებმა ენა გააჩერონ, თორემ მოჭიდავეებიდან ვინ იყო მიშა სააკაშვილის „ზონდერი“, ყველას დავასახელებო. შე კაი კაცო, თუკი ამდენი იცი, აქამდე რას ელოდები? აი, ეს შეკითხვაც მინდოდა, მისთვის დამესვა, მაგრამ ვერ მოიცალა, გადატვირთული გრაფიკი აქვს...

**გელა ზედელაშვილი**

**555 48-48-61**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სოხუმის მარიონეტულ რეჟიმს ახალი პრემიერი ჰყავს



ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მთავრობას ბესლან ბუთბა უხელმძღვანელებს. პოლიტიკოსის ე.წ. პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნის ბრძანებას რაულ ხაჯიმბამ მოაწერა ხელი.

როგორც რუსული მედია იუწყება, 54 წლის ბესლან ბუთბა ოკუპირებული აფხაზეთის ცენტრისტული „ეკონომიკური განვითარების პარტიის“ ლიდერია. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ძლიერ ქარს ბათუმში ნგრევა მოჰყვა



ბათუმში ძლიერი ქარის გამო, ჯაფარიძის ქუჩაზე მშენებარე ობიექტის კედელი ჩამოინგრა. დაზიანდა გვერდით არსებული სახლის კიბეც.

შემთხვევის შედეგად არავინ დაზარალებულა, უსაფრთხოების მიზნით ქუჩას წყალი და გაზი ამ დრომდე არ მიეწოდება.

აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრის უფროსის განცხადებით, სანიაღვრე არხებში წყალი გადიოდა, ამიტომ დატბორვის შემთხვევები არ ფიქსირდება. (ნიუპოსტი)



## საქართველოში ამინდი გაუარესდება

30 სექტემბრიდან საქართველოში ამინდი გაუარესდება. სინოპტიკოსთა პროგნოზით, წვიმა გაძლიერდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ რეგიონებში მოსალოდნელია ქარის გაძლიერებაც.

ტემპერატურა მთელ საქართველოში ხუთი გრადუსით დაიკლებს.

„შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან გრძელდება შედარებით ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ, საქართველოს უმეტეს რაიონში იწვიმებს, ზოგან გაძლიერდება დასავლეთის მიმართულების ქარი“, – აცხადებენ სინოპტიკოსები. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სკოლებში საატესტატო გამოცდები უქმდება?

## რა განუცხადეს განათლების სამინისტროში „ალიას“



**უქმდება თუ არა საატესტატო, იგივე კატის გამოცდები და რა კატასტროფა შეიძლება ამას მოჰყვეს? არსებობს თუ არა მასწავლებელთა პროფესიული ცვლილებების სქემა?**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი:**

– პარლამენტში შესულია კანონში ზოგადი განათლების შესახებ ცვლილებების პროექტი და მასში, გარდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა, კერძოდ, მუხლი №6, პირველი პრიმა ნაწილი, სადაც ვკითხულობთ, „სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი დოკუმენტით ამის დადასტურებას. სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარებისგან თავისუფლდება ის, ვინც ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების დონე დაძლია აკრედიტებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში“. ეს ნიშნავს, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდები, ანუ კატის გამოცდები, იგივე საატესტატო გამოცდები უქმდება, თუ გავიდა ხსენებული კანონპროექტის ეს მუხლი, უმეტესობა, ანუ 99,9% მოსწავლეებისა ამ გამოცდებიდან განთავისუფლდება.

**— კი, მაგრამ აქ წერია, დადგენილი მიღწევების დონეს ვინც დაძლევსო და დავიჯეროთ, ყველა დაძლევს?**

– მინდა გითხრათ, რომ, როცა გამოცდები მოიხსნება, ამ დონეს ყველა დაძლევს და, როგორც ადრე ყველა ამთავრებდა სკოლას და ატესტატს ყველა ბავშვს აძლევდნენ, ისე დაამთავრებს ყველა სკოლას. ამის გაკეთება კი არ შეიძლება.

**— გამარკვიეთ, რა გამოდის, ვისაც ექნება არადამაკმაყოფილებელი ნიშნები, ის რას იზამს?**

– ის როგორღა გავა გამოცდაზე? მასეთს გამოცდაზე რაღა უნდა? ხომ მაინც ჩაიჭრება? ამიტომ, ეს აბსოლუტურად გაუგებარი მუხლია.

**— და რას მოგვიტანს მთლიანობაში ეს ცვლილება?**

– მთლიანობაში ეს მოგვიტანს სკოლის სრულ ნგრევას, სკოლა აღარ იარსებებს და ეს იქნება ერის წინაშე განხორციელებული საბოტაჟი. არ მეგულება ქვეყანა, სადაც სკოლის გამოსაშვები გამოცდები არ არსებობდეს და ამ გამოცდებთან რა უნდა ლაში. ვიმეორებ, სააკაშვილს თავის დროზე გაცდენებზე სადამსჯელო ღონისძიებები რომ არ ჩაედო, საქმე მისული იყო პირველ კლასელებამდე და ახლა თუ ისევ გაუქმდა გამოცდები, გარდა დასწრების ჩავარდნისა, იქნება აბსოლუტური უვიცობა და მოსწრების კატასტროფული ვარდნა.

ამის გარდა, ასევე, იქნება უკიდეგანო კორუფციაც. ბავშვები რომ სკოლაში არ ივლიან, წესით, ამის გამო ჯარიმებია დაკანონებული ეროვნული სასწავლო გეგმით და ამას მოჰყვება მილიონო-



„არავინ დადიოდა უკვე მე-12 კლასში, მე-11-ში, მე-10-ში და ყოველწლიურად თანდათან ხდებოდა ამ კლასების დაცლა. ეს ტენდენცია შავი ჭირივით მერე სხვა კლასებსაც მოედო და ნელ-ნელა დაიცალა მე-9 კლასი, მე-8 და ლამის დაწყებით კლასებში ჩამოვიდა ზღვარი. ბოლოს სააკაშვილმა იძულებითი წესით დააბრუნა ეს გამოცდები სკოლებში და ბავშვიც ამის შემდეგ შევიდა სკოლაში... ახლა თუ ისევ გაუქმდა გამოცდები, გარდა დასწრების ჩავარდნისა, იქნება აბსოლუტური უვიცობა და მოსწრების კატასტროფული ვარდნა“

დათ? თუ ასე უნდათ, გააუქმონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. 12 წელი ადამიანი სკოლაში იღებს ფუნდამენტურ განათლებას და ბოლოს არ უნდა ჩააბაროს გამოსაშვები გამოცდა? კი, მაგრამ მაშინ რატომ შემოიღეს საატესტატო გამოცდები? იმიტომ, რომ სკოლა იყო საერთოდ დაცლილი, დაწერეთ ეს სიტყვასიტყვით. არავინ დადიოდა უკვე მე-12 კლასში, მე-11-ში, მე-10-ში და ყოველწლიურად თანდათან ხდებოდა ამ კლასების დაცლა. ეს ტენდენცია შავი ჭირივით მერე სხვა კლასებსაც მოედო და ნელ-ნელა დაიცალა მე-9 კლასი, მე-8 და ლამის დაწყებით კლასებში ჩამოვიდა ზღვარი. ბოლოს სააკაშვილმა იძულებითი წესით დააბრუნა ეს გამოცდები სკოლებში და ბავშვიც ამის შემდეგ შევიდა სკობით თანხის მშობელთა ჯიბეებიდან ამოღება. ჩემი აზრით, ეტყობა, იცოდა, რომ ეს ჰქონდათ აზრად ამათ პროექტში და ამიტომ ჩაატარა მიმინოშვილმა გაბრაზებულმა ასეთი მკაცრი გამოცდები და ამიტომ ჩაიჭრა ამდენი ბავშვი, 14% ხომ ჩაიჭრა?

არ ვიცი, ეს ყველაფერი, რაზეც ვილაპარაკე, ძალიან მძიმე საკითხია და, ღმერთმა არ ქნას, რომ ეს განხორციელდეს, თორემ ყველაფერი დაინგრევა და ამას ყურადღება უნდა მიაქციოს უმაღლესმა ხელისუფლებამ, მაგრამ ეს ხომ კომიტეტში რეგისტრაციაში გატარდა და ეს ხომ მუხლის ერთი პუნქტია? მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი კონსტიტუციაზე მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს შეეხება სახელმწიფოს ყოფნაარყოფნას, ვერ გავიგე, მთელი ბავშვები თუ გამოშტერდნენ და სკოლაში აღარ იარეს, რა იქნება?

**— არაფერი, მივიღებთ იმას, რაც უკვე გვქონდა წარსულში.**

– მერე, სკოლაში რომ არ დადიოდნენ, თქვენ გგონიათ, სახლებში ისხდნენ? ქუჩაში იყვნენ, არასრულწლოვნების დანაშაული იყო მომატებული და ციხეები სავსე იყო არასრულწლოვნებით. თუ ეს გაკეთდა, დაიწყება: ფული, ფული, ფული! და დღეს თუ ბავშვი დადის რეპეტიტორთან, ახლა ორმაგად წავა ამ საცოდავი მშობლების ფული ჩაწყობებზე, გაცდენები რომ არ გაუფორმონ ჟურნალებში.

**— რაც შეეხება დირექტორების როლს ამ საკითხში?**

– ისინი აიღებენ მთელ ფულს და თქვენ რა გგონიათ? ეს ფული მარტო დირექტორებთან დარჩება?

**— აბა, სად წავა?**

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ქუთაისის ახლად გადახურულ სკოლებში წვიმს



ქუთაისის №29 და №32 სკოლებში, ქალაქში მოსული უხვი ნალექის დროს წყალი ჩამოვიდა. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრში აღნიშნულის მიზეზად იმ ფაქტს ასახელებენ, რომ სკოლებში გადახურვის სამუშაოების დასრულება შემსრულებელმა ფირმამ ვადებში ვერ უზრუნველყო.

„ამ დროისათვის აღნიშნულ სკოლებში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. შესრულებულ სამუშაოს დეფექტები აქვს“, – ამბობს რესურსცენტრის უფროსი ბადრი ვაშაკიძე.

უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიზეზით დაჯარიმდება თუ არა შემსრულებელი ფირმა, რესურსცენტრში აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ აქვთ. დაწესებულებაში აცხადებენ, რომ ფირმასთან ხელშეკრულება განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა ინფრასტრუქტურის სამსახურმა გააფორმა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს პოლიციელის დაჭრის ფაქტს არ ადასტურებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციელის დაჭრის ფაქტს არ ადასტურებს. უწყების პრესსამსახურის განცხადებით, მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ცნობისთვის, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, გურჯაანის პოლიციის თანამშრომელი გოჩა ფერიაშვილი დაჭრეს და მას სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აქვს მიყენებული. (ფრონტნიუსი)

## საქართველოში სიკვდილიანობის დაახლოებით 71% გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით არის გამოწვეული




დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით მსოფლიოში ყოველწლიურად 17,3 მილიონი ადამიანი იღუპება. მისი ინფორმაციით, სუფრის მარილის ჭარბი მოხმარება ჰიპერტონიული დაავადების განვითარების ერთ-ერთი მთავარი რისკ-ფაქტორია. გამყრელიძემ საზოგადოებას მოუწოდა, რომ ყოველდღიურად მხოლოდ ხუთი გრამი სუფრის მარილი მოიხმარონ, რაც ერთი ჩაის კოვზია. მისივე თქმით, საკვებს დამატებით მარილი აღარ უნდა დავაყაროთ.

არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსის, ლელა სტურუას განმარტებით, მარილის მოხმარების შემცირებით, მნიშვნელოვნად მცირდება სიკვდილის შემთხვევების რიცხვი, რომელთა გამომწვევია როგორც მიოკარდიუმის ინფარქტი, ასევე თავის ტვინის ინსულტი.

ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში ათ ყველაზე გავრცელებულ პათოლოგიას შორის პირველ ადგილზეა არტერიული ჰიპერტენზია, რომელიც მიოკარდიუმის ინფარქტისა და თავის ტვინის ინსულტის ძირითადი რისკის ფაქტორია.

გამყრელიძის თქმით, საქართველოში სიკვდილიანობის დაახლოებით 71% გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით არის გამოწვეული. (ინტერპრესნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

– აგიხსნით: დირექტორებად ისედაც „ნაციონალები“ არიან-მეთქი, ტყუილად კი არ ვამბობ ხოლმე, გაძლიერდება ეს პარტია, მარტო დირექტორს ამდენ თანხას ვინ აალებინებს? „ნაციონალები“ ერთ გუნდად მუშაობენ, დირექტორების სამოცდაათი პროცენტი დატოვებულია „ნაციონალების“ მხრიდან და ის ახლები, უფრო სწორად, ვითომ ახლები რომ არიან შემოსტუმრებული, ისინიც „ნაციონალები“ არიან, რადგანაც „ნაციონალებმა“ გააკეთეს ტრენინგკურსები, როცა დირექტორების კონკურსები გამოცხადდა და თავისი ხალხი მოამზადეს თვითონ.

**— და ვინ აფინანსებს კონკრეტულად ამ მომზადებას, ხომ არ იცით?**

– ისევ „ნაციონალები“ და უნდა ითქვას, რომ ძალიან ორგანიზებულად კეთდება ყველაფერი. ამიტომ არავითარ შემთხვევაში გამოცდები არ უნდა გაუქმდეს. ვიმეორებ, არავითარ შემთხვევაში და ეს მუხლი პარლამენტმა უნდა ამოიღოს სასწრაფოდ.

**— პარლამენტში, კომიტეტის თავმჯდომარემ, ვანო კიღურაძემ ურჩია სამინისტროს, შესწორებები შეეტანა პროექტში.**

– არა, მან თქვა, შეასწორეთ სერტიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებითო, მაგრამ პარლამენტმა მიაქცია თუ არა ამ საკითხს ყურადღება, ეს არ ვიცი. მაინტერესებს, რომ გამოვიდნენ ღია ეთერში, ამათ რა თქვეს?

**— ვის გულისხმობთ?**

– სამინისტროს წარმომადგენლებს, იგივე მანანა რატიანსა და მინისტრის მოადგილეს, ვითომ ყველაფერი კარგია და ვითომ 12 000-მა მასწავლებელმა მოისმინა პრეზენტაცია და ყველაფერი კარგადააო. ამ დროს უკიდურესად უარყოფითი განწყობაა ამ სასერტიფიკაციო საკითხთან დაკავშირებით, ვიმეორებ, უკიდურესად! მაინტერესებს, რა გამოკითხვები ჩაატარა განათლების სამინისტრომ? რადგანაც მე მაქვს სულ სხვა ინფორმაცია და ეს ჩაწერეთ აუცილებლად: რომელ სქემაზე იყო საუბარი, ტელევიზიით რომ გამოვიდნენ, წინ რატომ არ ედოთ ეს სქემა? მე ყოველდღე ვუკავშირდები ამ სამინისტროს და ვიცი, რომ სქემა საერთოდ არ არსებობს.




**„ჩემი აზრით, ეტყობა, იცოდა, რომ ეს ჰქონდათ აზრად ამათ პროექტში და ამიტომ ჩაატარა მიმინოშვილმა გაბრაზებულმა ასეთი მკაცრი გამოცდები და ამიტომ ჩაიჭრა ამდენი ბავშვი, 14% ხომ ჩაიჭრა?.. არ ვიცი, ეს ყველაფერი, რაზეც ვილაპარაკე, ძალიან მძიმე საკითხია და, ღმერთმა არ ქნას, რომ ეს განხორციელდეს, თორემ ყველაფერი დაინგრევა“**

**— ეგ მოითხოვა ვანო კიღურაძემაც.**

– ჰოდა, ვკითხულობ, არსებობს საერთოდ სქემა? რატიანმა რომ სლაიდებით შემოირბინა მთელი საქართველო, მაგაში ფულს რატომ ხარჯავენ? პროფესიული გაზეთი არ არსებობს? დაბეჭდონ მასწავლებელთა პროფესიული სქემა და, საერთოდ, პროექტი გაზეთებში გამოაქვეყნონ.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს მაია გაბუნიას:**

**— ჩვენ გვესაუბრა ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი, რომელიც ამბობს, რომ პარლამენტში შეტანილი კანონპროექტის მიხედვით, უქმდება საატესტატო გამოცდები და რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?**

– არანაირი ცნობა ამის შესახებ დღეს ჩვენ არ გაგვაჩნია, თუ შეიცვლება სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ საკითხისადმი, ალბათ, არსებული წესით, ჩვენც შევცვლით წესს, ჯერჯერობით კი ამაზე საუბარი არ არის.

**„დირექტორებად ისედაც „ნაციონალები“ არიან-მეთქი, ტყუილად კი არ ვამბობ ხოლმე, გაძლიერდება ეს პარტია, მარტო დირექტორს ამდენ თანხას ვინ აალებინებს? „ნაციონალები“ ერთ გუნდად მუშაობენ, დირექტორების სამოცდაათი პროცენტი დატოვებულია „ნაციონალების“ მხრიდან და ის ახლები, უფრო სწორად, ვითომ ახლები რომ არიან შემოსტუმრებული, ისინიც „ნაციონალები“ არიან“**



**„სკოლაში რომ არ დადიოდნენ, თქვენ გგონიათ, სახლებში ისხდნენ? ქუჩაში იყვნენ, არასრულწლოვნების დანაშაული იყო მომატებული და ციხეები სავსე იყო არასრულწლოვნებით. თუ ეს გაკეთდა, დაიწყება: ფული, ფული, ფული!“**

**ვუკავშირდებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ნატალია ასათიანს:**

– გამოცდები არ უქმდება.

**— ექსპერტი ამბობს, მე-6 მუხლის პრიმა ნაწილშია ეს საკითხი მოყვანილიო.**

– დეტალურად გავიარეთ ეს კანონი, გამოცდები არ უქმდება.

**ამის შემდეგ კი, უკვე ვუკავშირდებით სამინისტროს წარმომადგენელს მანანა რატიანს:**

– გამოცდების ამბავი მე არ მეხება, ამ ნაწილში მე არ ვმონაწილეობდი, რაც შეეხება სქემას, სქემა ნამდვილად არსებობს, ეს დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ და მიმდინარეობს მისი განხილვა და, როცა ექსპერტებთან ბოლომდე შევჯერდებით, მას გამოვიტანთ განხილვაზე.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტმა თურქეთში ვიზიტი შეაფასა




საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში დასრულდა. ქვეყნის პირველმა პირმა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. გიორგი მარგველაშვილმა ორდღიანი ვიზიტი შეაფასა და მსგავს ფორუმებში მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ასეთ ფორუმებში მონაწილეობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მსგავს ფორუმებზე გვეძლევა შეხვედრების შესაძლებლობა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკოსებთან და ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან. ასევე, გვეძლევა შესაძლებლობა, გავაცნოთ მათ ჩვენი ქვეყანა და წარმოვაჩინოთ ის პრიორიტეტული მხარეები, რომლებიც საქართველოს მათთვის უფრო მიმზიდველს გახდის.

ასევე, შესაძლებლობა გვქონდა, გვესაუბრა იმის თაობაზე, რას გვაძლევს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერა როგორც ჩვენ, ისე ჩვენს მეგობარ ქვეყნებს. ყურადღება გავამახვილეთ იმ ტრანსნაციონალურ პროექტებზე, რომლებიც კასპიის ზღვის აუზიდან იწყება და გადადის შავი ზღვის აუზში. ასევე, განვიხილეთ ქართული ეკონომიკის ლიბერალური და ღია სტანდარტები. მსგავსი შეხვედრები აუცილებლად მოგვცემს შედეგს, მით უმეტეს, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება. ეს არის ქვეყანა, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებს ერთმანეთთან; რომელიც უკვე არის ევროპული, ყველაზე ძლიერი ბაზრის ნაწილი“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „როგორც ჩანს, ივანიშვილს პირადი პატიმარი გიგი ციხიდანაც აშინებს“



თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას მეუღლე, ლელა კილაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს:

„გიგის სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ადვოკატებთან თავისუფალი კომუნიკაციის საშუალებას არ აძლევს. კარგახანია ამის გამო საქმის მასალების გაცნობაც ვერ მოახერხა, ყოველდღიურად რთულდება ადვოკატებისთვის იმ მასალის მიწოდება, რომელიც ამ საქმეებში გიგისთვის თავის დასაცავად მნიშვნელოვანია.

გიგის უფლებები ყოველდღიურად უფრო და უფრო იზღუდება. როგორც ჩანს, ივანიშვილის პირადი პატიმარი გიგი ციხიდანაც იმდენად აშინებთ, რომ საკანში საყოფაცხოვრებო პირობებიც მათი „ფანტაზიის“ მიხედვით ყოველდღიურად სხვადასხვა ფორმით რთულდება.

მინდა იცოდეს ყველამ! დავალების მიმცემმაც და შემსრულებელმაც! გიგის ვერ შეაშინებს და ვერ გატეხს ვერანაირი შეზღუდვა. როგორც ჩანს, ეს ყველაზე მეტად მთავარ მოქალაქეს აწუხებს“, – წერს კილაძე. (ნიუპოსტი)

## სუფსის ადიდების შედეგად ყანები ნადგურდება




ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციით, სოფელ ჯუმათში მდინარე სუფსის ადიდების შედეგად სოფლის საყანე ფართობები ნადგურდება. ძლიერი წვიმის გამო, ჯუმათი-ნინოშვილი-ლესის ბეტონის საავტომობილო გზა ნაწილობრივ დატბორილია.

ქალაქ ოზურგეთის მერის, ბეგლარ სიორიძის ინფორმაციით, „როგორც კი მდინარის დონემ დაიწია, არხებმა დაიწყო მუშაობა. ამიტომ კარგად არის გამოსაკვლევი, რა პრევენციული ღონისძიებების გატარებაა სასწრაფოდ აუცილებელი, რომ მოსახლეობა როგორმე დავიცვათ მძიმე შედეგებისგან. ჯგუფებად გადანაწილებული მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები დეტალურად დაითვლიან და აღრიცხავენ, რა ზარალი მიადგა თითოეულ მოსახლეს“, – განაცხადა სიორიძემ.

მისივე თქმით, დატბორილია მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, ეზოებით, ასევე, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოფისი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ალმაშენებლის, თავისუფლების, გრიშაშვილის, თაყაიშვილის, მოსკოვის, გმირთა მოედნის, ბაქრაძის, ქუთაისის, გრიბოედოვის, ჯავახიშვილის, გაგარინის, დოლიძის, მეგრელაძის, გურამიშვილის, ერისთავისა და სახოკიას ქუჩებზე. (ინტერპრესნიუსი)

# რა შეცდომა აღმოაჩინა ექსპერტმა გოგი თოფაძის კონცეფციაში?

**„ალიას“ წინა კვირის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუს პარლამენტარ გოგი თოფაძესთან, რომელიც კვლევის შედეგებზე და ცალკეული იმპორტირებული კვების პროდუქტების უხარისხობაზე საუბრობდა, კვების პროდუქტების სპეციალისტი, ექსპერტი ჭაბუკი კილაძე გამოეხმაურა:**

– კანონმდებლობის ავტორი იყო ცქიტიშვილი წინა პარლამენტში, ის თავად იყო მეწარმე და რაში აწყობდა მას ისეთი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც, როგორც მეწარმეს, ხელს შეუშლიდა ან სხვა მეწარმეებს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ახლა ის დროა, როცა შეიძლება, ყველა სპეციალისტის მობილიზება მოხდეს, რომ სწორად ჩამოყალიბდეს კანონმდებლობა. სხვანაირად არაფერი გამოვა. ამას პოლიტიკური ნება სჭირდება.

**— ასევე, ბიზნესიდან მოვიდა გოგი თოფაძე, რომელიც ახლა კურირებს ამ საკითხს. ახლა რამდენად არსებობს შესაძლებლობა, რომ ყველა ხარვეზი გასწორდეს მომხმარებლის ინტერესებზე მორგებით, მით უმეტეს, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს საკვები პროდუქტების ბაზრის მოწესრიგებას?**

– მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა გოგი თოფაძის მიმართ, ის ძალიან კმაყოფილი საუბრობს, რომ რამდენიმე წარმოება დაიხურა, რადგან აღმოაჩინეს უხარისხო ძეხვეული და კიდევ უფრო გაძლიერდება კონტროლი.



ასეთი რამ მეწარმემ არ უნდა თქვას, ის უნდა საუბრობდეს იმაზე, რომ მეწარმის ინტერესები არ ილახებოდეს. კანონმდებელმა უნდა გააკეთოს ისე, რომ არ განმეორდეს ის ამბები, რაც მოხდა „ბადაგონისა“ და „შირნჰოფერის“ შემთხვევაში. გახსოვთ, ალბათ, კანალიზაციაში გაუშვეს 3 ტონა ღვინო. მე არ ვამბობ, რომ ცუდი პროდუქცია არ არის ბაზარზე. მაგრამ შენ უნდა მისცე მეწარმეს იმის საშუალება, რომ ეს შეცდომა გამოასწოროს. მეწარმეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ერთ ლაბორატორიას რომ შეამოწმებინებს და დაეჭვდება, მეორემაც შეამოწმოს, რომ მას ჰქონდეს ზუსტი დასკვნა. როგორც სასამართლო ექსპერტიზაში არიან დამოუკიდებელი ექსპერტები, ასეთი სისტემა უნდა შეიქმნას აქაც. მთავარია, რომ ლაბორატორიის მიუკერძოებლობა არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ობიექტურად უნდა იქნას დადგენილი, იყო თუ არა გადასაქცევი ღვინო, ან გასანადგურებელი რაიმე პროდუქცია.

**— ბევრი ბრენდი გვაქვს ქვეყანაში, ცხადია, ისინი ძალიან ძვირიცაა. მაგრამ ფასი არ არის იმის გარანტია, რომ ხარისხიანია. თუ მეწარმე ასეთი უფრთო ანგელოზია, რატომ ხდება მოწამვლა იგივე ძვირადღირებული საკვებით, რა მოტივაცია აქვს მეწარმეს, რომ მომხმარებელს ატყუებს?**

– სწორი პოზიციაა. მე ვარ ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე სწორედ ამ ბრენდებს აძლევდა სერტიფიკატებს, ვამოწმებდი კომპანიებს, მათ შორის „შირნჰოფერსაც“. მისი პროდუქცია იქნა დაწუნებული, ავსტრიიდან ჩამოვიდნენ, ერთი ამბავი აგვიტეხეს, ჩვენი პროდუქცია ხარისხიანიაო. აღმოჩნდა ბოლოს, რომ ჩვენ მართლები ვიყავით. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ მათი პროდუქცია უვარგისი იქნებოდა, მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული იყო. ბოლოს ისევ მათ მიერ გაირკვა, რომ, როცა მათი პროდუქცია ქვეყანაში შემოდიოდა, კერძოდ სარფში, აღმოჩნდა, რომ ძალიან ცხელოდა და მიკრობიოლოგიურად ისე დაბინძურდა, რომ უკვე სახიფათო გახდა. მერე მოვიდნენ და მადლობა გადაგვიხადეს. მთავარი ისაა, როცა ორივე მხარეს უნდა მოხდეს პროდუქციის შემოწმება. საიდანაც იგზავნება, იქ იძლევიან სერტიფიკატს, მაგრამ შენ რომ შემოგაქვს, მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს. კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ. შემოვიდა საზღვარზე ბავშვთა კვების პროდუქცია, რომლის სახელსაც არ დავასახელებ. ეს პროდუქცია ბელგიური წარმოების იყო, მაგრამ ირანელები აწარმოებდნენ. მოიტანეს ჩვენთან შესამოწმებლად და აღმოჩნდა, რომ მიკრობიოლოგიურად იყო დაბინძურებული ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი არ იყო დაბინძურებული. ირანელმა ხელმძღვანელმა სხვა ლაბორატორიაშიც წაიღო და აღმოჩნდა, რომ არ იყო დაბინძურებული. დავდექით ძალიან პრინციპულად და სასამართლოში წავიდა საქმე, ირანიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები, წაიღეს აქედან რეაქტივები, იმაში გასარკვევად, იყო თუ არა სანდო. ჩამოიყვანეს სპეციალისტები, მათ შორის მიკრობიოლოგიც. გაირკვა, რომ შესაფუთი მასალებისგან დაბინძურდა ბავშვის საკვები.

**— როგორც ამბობენ, ზოგიერთი ლაბორატორია სცოდავს და ყალბ დასკვნას იძლევა. რატომ უნდა ჰქონდეს არასწორი დასკვნის გაცემის ცდუნება, ხომ შეიძლება დახურონ?**

– საქმე ისაა, რომ არ იციან და ბევრი რამ უცოდინრობით მოსდით, მეორე მიზეზი ისაა, რომ, თუ ვინმეს ინტერესია, გადაიხდის და უარყოფით დასკვნას დააწერინებს. ამიტომ უნდა ზედმიწევნით კარგი ჩამოყალიბება კანონმდებლობას, რომ ლაბორატორიებმა ეს ვერ გაბედონ. უნდა იყოს მეტი კონტროლი, ლაბორატორიები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე ტექნიკით და სპეციალისტები უნდა გადამზადდნენ. ლაბორატორიას არ უნდა ჰქონდეს იმის ცდუნება, დასკვნა დაწეროს ჰაერზე. მას უნდა ჰქონდეს შიში, რომ თუ დაწერს არასწორს, ეს არ შერჩება. ის უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ მუშაობდეს კარნახით. არსებობს უამრავი ფაქტი, რის გამოც არ მჯერა ამ ლაბორატორიების მიუკერძოებლობის. კიდევ ერთსაც გავიხსენებ. ერთხელ ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი ცნობილი ლაბორატორიის გამგე, სახელს არ დავასახელებ. ითხოვა ჩემი ლაბორატორიიდან ოოსკოპი, ჩემსას ციფერბლატი გაუფუჭდაო. გაატანეს უჩემოდ და როცა მითხრეს, გამიკვირდა, რადგან ვიცი, ჩემს ოოსკოპს ციფერბლატი არ აქვს. ამ მოწყობილობით კვერცხის ვარგისიანობას ამოწმებენ ხოლმე. ამხელა ლაბორატორიის გამგემ რომ არ იცის, ოოსკოპს ციფერბლატი არ აქვს, რაზეა საუბარი? გექნება ასეთი ლაბორატორიის იმედი?

**— ხომ გვაქვს თანამედროვე აღჭურვილობით ლაბორატორიები?**

– კი, გვაქვს, მაგრამ ამ ტექნოლოგიების მოხმარების ცოდნაა პრობლემა. მე ვიცი ლაბორატორიები, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს ფლობენ, მაგრამ მისი გამოყენება არ იციან. აჩვენებენ ტელევიზიით, რა მაგარი აპარატურა აქვთ, ამ დროს არც ერთი არ აქვთ ხმარებაში, ვერ იყენებენ.

**— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ, ერთი მხრივ, ბიზნესი არ დაზარალდეს და მეორე მხრივ მომხმარებელი?**

– თავიდან შეიძლება ბიზნესი განაწყენდეს, მაგრამ რომ დაინახავს, ეს სამსახური ობიექტურია, არ აყვირდება. არავის უნდა, მისი პროდუქცია უვარგისი იყოს, ყველას უნდა, ხარისხიანი გამოუშვას, მაგრამ ცუდ პროდუქციას აკეთებს იმიტომ, რომ იცის, მაინც გაიყიდება.

არანაირი ინტერესი არ მაქვს, არც სამსახური მინდა, პენსიაზე გავედი, მაგრამ ამ თემებზე გაჩუმება არ შეიძლება, შვილები და შვილიშვილები მყავს, ამიტომ მინდა ვთხოვო პარლამენტარებს, გაასწორონ ამ მხრივ ხარვეზები კანონმდებლობაში, სულ პარლამენტში არ იქნებიან და მერე გვიან იქნება, მისი შვილი დაიტანჯება ამ კანონმდებლობით. დატოვონ ისეთი კანონი, ყველამ რომ ამოისუნთქოს. დღეს კი იქნება შეუვალი მისი საწარმო, მაგრამ ხვალ და ზეგ თავს იჩენს. აქამდე, თუ ადამიანს არ აწყენდა, თუ გინდა, ნაგავი ყოფილიყო, მაინც იყიდებოდა. რაც შემოდის, ის მიირთვანო, ასეთი დამოკიდებულება არსებობდა. სერტიფიკატი არ იყო სავალდებულო, მაგრამ მეწარმეს, როცა ის თავის პროდუქციას აბარებდა სავაჭრო ქსელში, უნდა წარედგინა დადასტურება მისი პროდუქციის ხარისხიანობის. ამას ლაბორატორიის გარეშე ვერ გააკეთებდა. ანუ კანონმდებლობა იყო ირიბი, მიხვეულ-მოხვეულად ავალდებულებდა მეწარმეს ამას. ნებაყოფლობითი რომ არის რამე, ვინ გააკეთებს? სავაჭრო ქსელი უნდა იყოს პირველი მაკონტროლებელი, რას ყიდის. ჩვენთან დამკვიდრდა ასეთი მიდგომა – „აქედან არ გავიდეს ცუდი, თორემ ვერ გადამირჩები, იქიდან რაც შემოვა, ყველაფერი შემოუშვით“-ო. აი, აქ გვაქვს პრობლემა, ამიტომაცაა ამდენი დაავადებები. უნდა მოვიწვიოთ ქიმიკოსები, ფიზიკოსები, მიკრობიოლოგები, რადიოლოგები, თუ გვინდა, დაიდოს სრულყოფილი ანალიზი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სადუნში“ მომხდარი ინციდენტი პირველი არ იყო“



4 წლის გაბრიელ ნიშნიანიძეს, დაზიანებები ბლაგვი საგნის გამოყენებით, არაერთჯერადი მოქმედებით აქვს მიყენებული. დაზარალებული ბავშვის მამის თქმით, აღნიშნული დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნაშია ნათქვამი.

გაბრიელის დედის თამუნა იარაჯულის თქმით, სკოლა-ბაღ „სადუნში“ მომხდარი ინციდენტი პირველი არ იყო. იარაჯულის თქმით, ინციდენტს ადგილი მანამდეც ჰქონდა, როდესაც გაბრიელი ბაღიდან დახეული მაისურით გამოიყვანეს.

მისივე თქმით, 26 სექტემბერს მომხდარი ინციდენტის შემდეგ ბავშვთან არც სკოლის ადმინისტრაცია და არც პედაგოგები არ მოსულად და არ მოუკითხავთ.

„რა თქმა უნდა, ბაღის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს ვადანაშაულებ. ის დაზიანებები, რაც გაბრიელს აქვს, 4 წლის ბავშვს არ უნდა ჰქონდეს. მე იმიტომ დამყავდა ის ბაღში და არა ქუჩაში, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონოდა. დაზიანებები თუნდაც სხვა ბავშვს მიეყენებინა, სად იყო ამ დროს პედაგოგი? ინციდენტი დაახლოებით ერთი კვირის წინაც მოხდა. ბავშვს სქელი მაისური ეცვა და რომ გამოვიყვანეთ, გვიან შევნიშნეთ, რომ რეზინა შემოხეული ჰქონდა. ამ მაისურს ვერც ერთი ბავშვი ვერ დახევდა, ვერც თვითონ და ვერც სხვა შემოახევდა. როგორ ბედავს ბაღის ადმინისტრაცია და საერთოდ როგორ ახსენებს გაბრიელს?! საშინლად გამაღიზიანებლად ლაპარაკობენ. ბავშვი არ უკითხავთ საერთოდ და არავითარი სინანულის გრძნობა არ აწუხებს. დგანან და თავს იმართლებენ, რომ ბავშვი იცემა და ამას ვერავინ ვერ მიხვდა“, – განაცხადა 4 წლის გაბრიელის დედამ.

(ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ოზურგეთში სტიქიას ებრძვიან



უხვმა ნალექმა ქალაქი ოზურგეთი და რამდენიმე სოფელი დატბორა. განსაკუთრებით რთული ვითარებაა სოფელ შემოქმედში, სადაც რამდენიმე ოჯახის ევაკუაციაც გახდა საჭირო.

ოზურგეთის ცენტრალური მოედანი წყლით იყო დაფარული. დასავლეთში უხვ ნალექს ძლიერი ქარიც ემატება. დაიტბორა მაღაზიები, კვების ობიექტები და საცხოვრებელი სახლები.

ოზურგეთის რაიონის რამდენიმე სოფელში რთული ვითარების გამო სასწავლო პროცესი შეჩერებულია. (ნიუპოსტი)

## რუსული რუბლი რეკორდულად დაეცა



რუსული რუბლის კურსი დოლართან მიმართებით მორიგ სარეკორდო მაჩვენებელზე დაეცა.

მოსკოვის სავალუტო ბირჟაზე ერთი დოლარი 39,50 რუბლი ღირდა, ხოლო ერთი ევროს ფასი 50 რუბლს გასცდა და 50,13 რუბლი შეადგინა.

რუსეთის ცენტრალური ბანკის განცხადებით, თუ ვარდნა შეუქცევადად გაგრძელდება, ის რუბლის კურსის გასამყარებლად პროცესებში ჩაერევა.

იუწყებიან ასევე, რომ 29 სექტემბერს მოსკოვის ბირჟაზე 10%-ით გაიაფდა კომპანია „სისტემის“ აქციები. „სისტემის“ მფლობელია მილიარდერი ვლადიმირ ევტუშენკოვი, რომელსაც ახლა შინაპატიმრობა აქვს მისჯილი კორუფციის ბრალდებით. (ნიუპოსტი)

# რა დავალება მიიღეს სახელმწიფო უწყებებში მომუშავე „ნაციონალების“ მხარდამჭერებმა?



**„იურისტთა და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ გაგნიძემ „ფეისბუკით სტატუსი გაავრცელა: „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, მაქსიმალურად გაალიზიანოს ხელისუფლება, რათა მათ მიმართ ფართომასშტაბიანი რეპრესიები დაიწყოს, შემდეგ კი პარალელურ რეჟიმში, სხვადასხვა სტრუქტურებიდან დაიწყოს პროცესები, რასაც მათი მომხრეების მხრიდან მოჰყვება უდანაშაულო უბრალო ხალხის დევნა და შევიწროება სამსახურებიდან და სხვა, რითაც, მათივე გათვლით, განაწყენებული ხალხის რიცხვი გაიზრდება და მათ რევანშისტულ იდეებს სამაგიეროს გადახდის შანსი მიეცემა“...**

„ალიას“ **გრიგოლ გაგნიძე** ესაუბრა:

– რამდენიმე თვის წინ სააკაშვილი შეხვდა სარფის საბაჟოზე მისი გუნდის ლიდერებს. ყავის დასალევად რომ არ იყო იქ მისული, ბავშვმაც იცის. „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, შს მინისტრისა და სამინისტროს პერმანენტული დისკრედიტაციით პოლიციის დემორალიზება გამოიწვიოს, ამიტომ ამოიჩემეს ჭიკაიძე სამიზნედ, ჯაფარიძემ და ცისკარიშვილმა, რამდენიმეჯერ დასცინეს სამართალდამცველებს, ჩვენ დროს უფრო მეტი დაფასება ჰქონდათო. მათ დროს ხომ „მიშა“, „მიშას“ ძახილით ხალხს არბევდნენ და ხოცავდნენ? დღეს პოლიცია ლიბერალური პოლიტიკის ფონზე უფრო გაწონასწორებულია. რას აპირებენ ამის შემდეგ „ნაციონალები“, ამის შესახებ ვარაუდებით არ ვსაუბრობ, მაქვს კონკრეტული ინფორმაციები. პირველი – მათ დაიწყეს და კიდევ გააგრძელებენ სტატისტიკის თემას, გამოსაძიებელი საქმეებით აჟიტირებას, რომ კრიმინალი გახშირდა, იმაზე უარესი ხდება, ვიდრე ბოლო 9 წლის განმავლობაში და სხვა. გადავლენ საზოგადოების, ხალხის აშკარა ფსიქოლოგიურ ტერორზე.

მეორე – ხელისუფლებისთვის გამაღიზიანებელი შეიძლება იყოს გაეროს ოფისთან პრემიერის მიმართ სკანდირება, „მკვლელო“ და ა.შ. ხელისუფლებას ლიბერალური ნიშა უჭირავს და სააკაშვილივით ლოზუნგი-მოწოდება „ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმან დანაშაულებს, ყველანი ციხეში“, ასეთი განცხადება არ გაუკეთებიათ. რაც ნიუ-იორკში მოხდა, ეს იყო დასაწყისი, მსგავსი გამოსვლები დაიგეგმება სწორედ უცხოეთში მცხოვრები ქართველების მხრიდან, ვინც მხარს უჭერენ „ნაციონალებს“. სააკაშვილი მათთან ხშირად კონტაქტობს და ინფორმაციების, აქციების შესახებ თათბირობს.

**— ამბობთ, „ნაციონალებს“ სამაგიეროს გადახდის შანსი მიეცემათო. რას გულისხმობთ, რა კონკრეტულ ქმედებებს მიმართავენ სამაგიეროს გადასახდელად?**

– „ნაცებს“ რომ ხელისუფლებაში მობრუნების ამბიცია და წყურვილი კლავთ, ეს ისედაც ცნობილია. ყველაფერს ცდილობენ, ხალხს აგრძნობინონ, რომ ისინი იმდენად ბრძოლისუნარიანები არიან, მედიასაშუალებებსაც სათავისოდ „ატრიალებენ“. შეიძლება ითქვას, რომ ცდილობენ, საზოგადოებას აფიქრებინონ, რომ ჩვენ ადრე თუ გვიან მაინც დავბრუნდებით ხელისუფლებაშიო. მინდა გაგახსენოთ, ჯერ იმუქრებოდნენ „მაიდანის“ სცენარით, მერე სექტემბრიდან აქციებით, ამით საზოგადოების მაჯისცემა მოსინჯეს. „ნაცებს“ დაავიწყდათ ან თავს იტყუებენ, რომ ხალხი გავა მათ დაძახებაზე, თუმცა დავინახეთ, რომ ასი კაცი ძლივს იკრიბება მათ მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციებზე.

სააკაშვილმა, როდესაც პრეზიდენტობიდან მიდიოდა, კომენტარი გააკეთა, თუ საჭირო გახდება, ვანო და გიგი ჩაჯდებიანო, ანუ მათ წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი გარიგება თანაგუნდელებთან, რომ პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკისთვის ისინი შეიძლება ციხეში ჩამჯდარიყვნენ. ერთადერთი, რასაც დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი არ მოელოდა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და მისი ოჯახის საკუთრების დაყადაღება იყო. მაქვს ინფორმაცია, ხელისუფლებამ ეს იმიტომ გააკეთა, რომ ორმხრივი პრევენცია მოეხდინა, რათა მას პირადად ქვეყანაში არეულობის მოწყობის შანსი არ ჰქონდეს და დააბრუნოს მილიონები, რაც ქვეყნიდან გაიტანა. სააკაშვილზე ეს პოლიტიკურ-სამართლებრივი საკონტროლო გასროლა იყო. ის დღეს ბრალდებულია და შეიძლება მალე დააკავონ. ეს რევანშისტულად განაწყობს „ნაცმოს“ ხელისუფლების მიმართ.

არჩევნებმა დაგვანახა, რომ 20% პროცენტი მოსახლეობისა, „ნაციონალების“ აქტივი იყო. აქედან უმეტესობა „ნაციონალების“ დროს იყო დასაქმებული სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებში და ვფიქრობ, არის კიდეც, ისინი შეეცდებიან, ის გააკეთონ, რასაც „პატრონები“ ეტყვიან, რომ სამსახურები არ დაკარგონ.

**— გარკვეულ სტრუქტურებში პროცესების დაწყებას პროგნოზირებთ, რა პროცესები შეიძლება დაიწყოს?**

– ვიცით, რომ სამინისტროებიდან ხალხის მასიური გაშვება არ მოხდა, ანუ ისევ ძველი კადრები არიან. დადის ხმები, რომ ის ძველი კადრები მისტირიან თავიანთ სამინისტროებში ძველ დროს და „დიდებას“. სიმკაცრე იყო, მაგრამ კმაყოფილები იყვნენ. აგიტაცია – ფარული თუ ღია, ხუმრობანარევი საუბრები, სამინისტროებში და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებში გააქტიურდება, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ხალხსა და მოხელეებს ხშირი ურთიერთობა აქვთ. ისინი შეეცდებიან ნიჰილიზმის დანერგვას, ეს „ნაციონალების“ ჩანერგილი ადამიანების ხელით განხორციელდება. ძალიან გამწარებულები აქტიურობენ ლობისტებიც საზღვარგარეთ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროსაბჭოში კომიტეტმა მხარი დაუჭირა რეზოლუციაში ცვლილებას, სადაც წერია, რომ ბაჩო ახალაია წინასწარი პატიმრობიდან უნდა განთავისუფლდეს. ეს თემა სააკაშვილის ლობისტების ზეწოლის გამო იქნა მიღწეული და თუ ასეა ნამდვილად, ხელისუფლებამ უნდა უთხრას მათ, ჩვენ ვერ ჩავერევით სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაშიო. რეკომენდაცია შეიძლება მიღებული იყოს სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლად, ვინაიდან ახალაიას სასამართლო პროცესი ჯერ არ არის დამთავრებული, ხელისუფლებამ უნდა შეახსენოს მათ, რომ ამ პრეცედენტის დაშვებამ შეიძლება წაახალისოს „ნაციონალები“ და ამის დაშვება არ შეიძლება.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უგულავა ნარმანიას სიცრუეში ადანაშაულებს




თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა დედაქალაქის მერს დავით ნარმანიას სიცრუეში ადანაშაულებს. უგულავას განცხადებით, ესტაკადის მშენებლობა 2 მილიონი ლარი კი არ დაჯდება, როგორც ამას ნარმანია ამბობს, არამედ 15-25 მილიონი ლარი.

„ცრუობს ბატონი ნარმანია, რომ 2 მილიონი დაჯდება 120-მეტრიანი ესტაკადა. ეს არის სიცრუე, ეს არის ტყუილი და ეს არის არაკომპეტენტურობა. ასეთი სიგრძისა და კონსტრუქციის ესტაკადა 2 მილიონი ვერ დაჯდება, მით უმეტეს, ქვემოთ დიდი კოლექტორია. ამ ესტაკადის ფასი მინიმუმ 15-25 მილიონის ლარის ფარგლებში იქნება იმისდა მიხედვით, თუ რა გაძლიერებას გამოიწვევს კოლექტორი“, – განაცხადა უგულავამ.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მშენებლობა 2015 წლიდან დაიწყება. მისი თქმით, თავის დროზე არსებული გათხრების შედეგად პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობა შეიზღუდა და უკვე რამდენიმე წელია, მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობაა შესაძლებელი. (რეპორტიორი)

## ეროსი კიწმარიშვილის ოჯახი დაზარალებულად ცნობას მოითხოვს




რუსთავის მერობის ყოფილი კანდიდატის ეროსი კიწმარიშვილის ოჯახი დაზარალებულად ცნობას მოითხოვს. თუ პროკურატურა ოჯახის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მას საქმის მასალებზე წვდომა ექნება.

„საქმეში ჩახედვის უფლებას კანონი სადამდეც მოგვცემს, ვაპირებთ, აუცილებლად ჩავიხედოთ, რადგან გვაინტერესებს, რა ვითარებაა, ამა თუ იმ ექსპერტიზებზე რა პასუხებია, რა მასალები არსებობს. უამრავი ვიდეომასალაა გადაღებული სახლის პერიმეტრზე და კიდევ სხვადასხვა ადგილებზე, მინდა, ეს ყველაფერი ვნახო, რათა გარემოებები ჩემშიც დალაგდეს და შემდეგ უკვე მომზადებული პოზიცია გვექნება“, – განაცხადა ეროსი კიწმარიშვილის ძმამ ზურა კიწმარიშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ბაჩო ახალაია პროცესზე შეუძლოდ გახდა



საქალაქო სასამართლოში, ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე, ბაჩო ახალაიას დაკითხვა ვერ მოხერხდა, რადგან ის შეუძლოდ გახდა.

თავდაცვის ექსმინისტრის თქმით, მას სიცხე ჰქონდა და ამიტომ ჩვენების მიცემას ვერ შეძლებდა. მისი დაკითხვა მომავალი სხდომისთვის გადაიდო.

პროცესზე, ბრალდებულები ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი დაიკითხნენ. გამოძიების ინფორმაციით, 2006 წელს სპეცოპერაცია წინასწარ იყო დადგმული.

აღნიშნულ საქმეზე ლევან ქარდავას და გიორგი მაზმიშვილს სპეცოპერაციის დროს დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედებათ ბრალად. რაც შეეხება ახალაიას, მას გამოძიება, გაქცევის ორგანიზების აღიარების მიზნით, პატიმართა ფიზიკურ ზეწოლას ედავება. (ნიუპოსტი)

## დათა ახალაიას დაკითხვა ვერ მოხერხდა



ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეორე სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე ლევან ქარდავა დაკითხეს. ყოფილმა მაღალჩინოსანმა 2006 წლის იანვარის დღე გაიხსენა. ქარდავამ დეტალურად აღწერა მომხდარი ფაქტი. მისი განცხადებით, ის უშუალოდ იმყოფებოდა სპეცოპერაციაზე, თუმცა, მას იარაღი თან არ ჰქონია.

ქარდავამ ასევე გაიხსენა, რომ დაკავების შემდეგ მას ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.

„თავიდან ბოლომდე იქ რა საუბარი შედგა, მე ვერ გავიგე, მაგრამ გავიგე, რა მოხდა შემთხვევის ადგილზე, როგორ მოხდა გასროლა, თათუხაშვილი დაახლოებით ასეთ რაღაცას ეუბნებოდა, რომ ჩვენ მოვუწოდეთ, დაეყარათ იარაღი, არ დაემორჩილნენ მოთხოვნას და ჩვენ განვახორციელეთ სროლა მათ წინააღმდეგ. მე ჩემი თვალით დავინახე, რომ გარდაცვლილებს გვერდით იარაღი ედოთ“, – განაცხადა ქარდავამ.

პროკურორ ჯარჯი წიკლაურის თქმით, ქარდავამ სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## კესარია აბრამიძეს სერიალში იღებენ: „ჩემი გმირი ლამაზი, სექსუალური ქალია..."



რეჟისორი ოთარ შამათავა ახალ სერიალზე მუშაობს. სერიალს ტელეკომპანია „იმედზე" ვიხილავთ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალ სერიალში კესარია აბრამიძე მთავარ როლს ითამაშებს.

– „ფსიქოპატთა თამაშები" ასე ჰქვია სერიალს და ჩემი გმირი ლამაზი, სექსუალური ქალია. ძალიან საინტერესო სერიალია. ჩემი გმირი მეშვიდე სერიიდან შევიდა. გადაღებების პროცესი მხიარული და საინტერესოა... რალაცებში ვარ გადაღებული, მაგრამ ამხელა სცენარი სასწავლი არ მქონია.

ჩემი გმირი ცოტათი მგავს, თუმცა, საერთო ჯამში, აბსოლუტურად სხვა ვიქნები...

*reitingi.ge*

## შორენა ბეგაშვილის პირველი ღამე კარალეთში — „მოხდა, დარჩა, მშვიდობაა..."



მსახიობი ლევან სუხიტაშვილი მეუღლეს მაგდა ვასაძეს დაემშვიდობა და მორიგი ცოლი მოიყვანა. „მაპატიე, საყვარელო. მე წავედი..." – წერს ლევანი სოციალურ ქსელში. მაკა და ლევანი კიდევ ერთ ბავშვს ელოდებიან და ლევანის მეგობრებს გაუკვირდათ მისი სტატუსი.

ლევანის მორიგი სტატუსი არანაკლებ დამაინტრიგებელია. – მომილოცეთ, ცოლებო, ჩემი ახალი ცოლი. კარგად ვართ და ძალიან შევეწყვეთ... სტატუსს ფოტოც ახლავს. სადაც ლევანი, არც მეტი, არც ნაკლები, შორენა ბეგაშვილთან ერთადაა.

მალე ლევანმა შორენას საწოლში გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა, რომელიც მის მშობლიურ სოფელ კარალეთშია გადაღებული. „მოხდა, დარჩა, მშვიდობაა. ვისაც გინდათ, ჩამოდით და მოგვინახულეთ. კარალეთში ვართ... დაბოლმილი ცოლები „ინ ექშენ", – წერს მსახიობი.

ბევრი, ალბათ, უკვე მიხვდით. ლევან სუხიტაშვილი პირველია იმ ბედნიერ მამაკაცებს შორის, ვისაც შორენა ბეგაშვილის ქმრობა ხვდა წილად.



სულ მალე ეთერში გავა ახალი ტელევიზია „მარაო რუსთავი 2", სადაც ბევრ საინტერესო გადაცემასთან ერთად შორენა ბეგაშვილის გადაცემა „ქირვეულის მორჯულება" გავა. შორენა ყოველ კვირას ცნობილი მამაკაცის მეუღლე გახდება და ერთი კვირის განმავლობაში ერთად იცხოვრებენ. ისინი ჩვეულებრივი ცოლ-ქმარი იქნებიან ყოველგვარი ინტიმის გარეშე.

პირველი ქმრობა კი როგორც ლევან სუხიტაშვილის სტატუსებიდან გახდა ცნობილი, სწორედ მას ხვდა წილად.

*reitingi.ge*

## მე და ვახო ვერ შევთანხმდით — „მაესტროს" დირექტორი სანაიას წასვლას ადასტურებს





ტელეკომპანია „მაესტროს" გენერალური დირექტორი, ბაია გადაბაძე ადასტურებს, რომ ვახო სანაიასთან გარკვეულ საკითხებზე ვერ შეთანხმდა:

– ეს არ იყო დაპირისპირება. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მე და ვახო კონკრეტულ საკითხზე ვერ შევთანხმდით და ერთობლივად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ეს არ იყო დაპირისპირება, არ იყო ჩხუბი, უბრალოდ, ადამიანურად ვისაუბრეთ და მივხვდით, რომ სხვადასხვანაირად ვუყურებდით გარკვეულ საკითხებს. თუმცა შეუთანხმებლობა არ შეეხებოდა ფინანსურ საკითხებს. ამას გამოვრიცხავ, – აცხადებს ბაია გადაბაძე.

ვახო სანაიამ ტელეკომპანია „მაესტრო" დატოვა.

*newposts.ge*

## „ჩემი ცოლის დაქალები" მსახიობებს ეძებს




პოპულარული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" სერიალის ეპიზოდურ როლებისთვის გოგონებისა და ბიჭების შერჩევას იწყებს.

აღნიშნული ინფორმაცია „ჩემი ცოლის დაქალების" „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

– მეგობრებო, როგორც ყველაზე სეზონის დასაწყისში, ახლაც გვჭირდება ეპიზოდურ როლებში მონაწილე გოგო-ბიჭები! სერიალში მონაწილეობის მსურველმა, 18-40 წლამდე ასაკის ადამიანებმა გამოგზავნეთ თქვენი სახელი, გვარი, ასაკი, ფოტოსურათი, და საკონტაქტო ინფორმაცია მეილზე daqalebifb@gmail.com – აღნიშნულია განცხადებაში.

ცნობისთვის, „ჩემი ცოლის დაქალების" მეექვსე სეზონი 15 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 22:00 საათზე იწყება, – ნათქვამია განცხადებაში.

*pia.ge*

## რატომ გაახმო გიგი გაჩეჩილაძემ ზაზუნა მზეზე და საიდან მოხვდა მის სტუდიაში 3 წლის გოგო, სახელად ბოთე



სამეჯლისო ცეკვების სტუდია „თელას" ერთ-ერთი ქორეოგრაფი გიგი გაჩეჩილაძე ცხოველების დიდი მოყვარულია, რაც მის სტუდიაშიც იგრძნობა.

სტუდიაში შესულს, პირველი, საყვარელი კოკერ-სპანიელის ჯიშის უსაყვარლესი ძაღლი, სახელად ბოთე, შეგეგებებათ.

– ვგიჟდები ცხოველებზე, თუმცა არსებობს ისეთი ცხოველებიც, რომლებისაც მეშინია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათთანაც მქონია შეხება. ლომთან რომ დამტოვოთ პირისპირ, შემეშინდება, აბა რა! გალიაში რომ ზის და მიყურებს, ისიც კი შიშს მგვრის. ქვეწარმავალს კი, ტელეეკრანზეც რომ ვხედავ, მაშინაც მაჟრიალებს, ისე მეშინია. თუმცა, ამერიკაში, ჩემს დისშვილს ჰყავდა გველი სახლში და მასთან რომ ვრჩებოდი მარტო, შიში მაშინ უნდა გენახათ. ჩემი პირველი ცხოველი იყო ზაზუნა, რომელიც აივანზე გამხმარი ვიპოვე. ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა, აივანზე გაპარულა და მზეზე გახმა. ოჯახის წევრები, დილით რომ გამოვდივართ, გვიან საღამოს შევდივართ სახლში. გვეგონა, ზაზუნა ოთახში დავტოვეთ და რომ მივედით, აივნის გისოსებში გაჭედილი, გამხმარი დაგვხვდა. ახლა ვიცინი, მაგრამ, მაშინ, ძალიან ვიტირე და ვიდარდე. ახლა მყავს ძაღლი, სახელად ბოთე. ჩემი ბოთე კი ჭკვიანი გოგოა. მანქანის კარს რომ გავუღებ, წინ არ ჯდება, იცის, რომ მისი ადგილი უკანაა. მოკლედ, ახლა მყავს ბოთე, რომელიც სამი წლისაა და რომ წარმოვიდგენ, ერთ დღეს შეიძლება რამე დაემართოს და აღარ მყავდეს, უკვე განვიცდი, ვნერვიულობ. ძალიან მივეჩვიე, ოჯახის წევრია – მე ვუვლი, ბავშვივით ვანებივრებ და მის გარეშე, არ ვიცი, როგორ ვიქნები. ამაზე არ ვფიქრობ. რეალისტი ვარ და ვიცი, ერთ დღესაც აღარ იქნება ჩემ გვერდით. ამაზე ფიქრი „მგრუზავს". ბოთე ბევრ ადამიანზე ძვირფასია ჩემთვის, ბევრისგან განსხვავებით, გაცილებით მეტი სიყვარულიც შეუძლია. აი, კატა არ მიყვარს, ცბიერია და ცბიერება ადამიანებისგანაც მეყოფა, მის ცბიერებას რომ არ ვუყურო ყოველდღე...

როგორც აღმოჩნდა, მოცეკვავის საყვარელი ძაღლისთვის არც „გვერდზე გახედვა" ყოფილა უცხო ხილი.

– სიძე არ გამახსენოთ! ისეთი ფაქტი მოხდა ამასთან დაკავშირებით, გახსენება არ მინდა. მოკლედ, ბოთე სოფელში მყავდა, მეგობრის სახლთან ვიდექით, გავიხედე და ბოთემ მაწანწალა სოფლის ძაღლთან არ წაიცუღლუტა? იქვე გავუჯავრდი, მაგრამ რომ ჩამოვედით, აღმოჩნდა, რომ ორსულად იყო. მეტი გზა არ მქონდა, აბორტი გავუკეთე. მე გაჩენილ ლეკვებს ვერ გავაგდებდი გარეთ, მათ კი ვერ გავზრდიდი. არც სხვა მოინდომებდა მათ გაზრდას და ხომ ვერ გადავყრიდი შვილიშვილებს? სხვა გამოსავალი არ მქონდა, ცუდი ბაბუ აღმოვჩნდი. აბორტის მერე, ბოთეს ხელის გულზე ვატარებდი. ახლა შერჩეული მყავს ჩემი უბნელი, ასევე ბოთეს ჯიშის, ინგლისური წარმოშობის ძაღლი სიძედ და იმედია, მომავალში, მათ შვილიშვილებს გავზრდი.

*tbiliselebi.ge*

## რის გამო დაბრუნდა რობერტო კავალის ქართველი მოდელი საქართველოში



21 წლის ნონიკო კახაძე სამოდელო საქმიანობას 13 წლიდან ეწევა. ბოლოს მილანში იყო წასული, რომელიც კავალის შოურუმში მონაწილეობდა. ცოტა ხნის წინ კი სამშობლოში დაბრუნება მოუწია:

ნონიკო კახაძე:

– კონტრაქტი დასრულდა, თუმცა ახლაც აქტიურად მწერენ, ჩამოდიო. სხვათა შორის, რობერტო კავალის სახლიდანაც მთხოვენ დაბრუნებას, მაგრამ არ ვიცი, რას გადავწყვეტ, ჯერჯერობით ვერ წავალ, რადგან გათხოვებას ვაპირებ. იტალიის გარდა, ჩინეთიდანაც მომივიდა მოწვევა. ჩემი მომავალი მეუღლე არ არის წინააღმდეგი, რომ მოდელობას გავყვე, მაგრამ ასე დიდი ხნით ვერსად წავალ, ალბათ. თუმცა, თუ თავად გამომყვება, მაშინ შევძლებ, ვიმუშაო. იტალიაში ოჯახი, შვილი მოდელისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ბევრი გათხოვილი გოგონა მუშაობდა ჩემთან ერთად, მეტიც, რამდენი გოგო შვილებთან ერთად დადიოდა კასტინგზე. ჩემი რჩეული არის დავით ჭკადუა, შსს-ში მუშაობს.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ექიმს თავში ლურსმანგარჭობილი პაციენტი მიადგა. გასინჯა ექიმმა და:
– ოპერაცია 500 ლარი დაგიჯდებათ.
– მე რომ მხოლოდ 50 ლარი მაქვს?
– მაშინ ლურსმანს თავს გადავულუნავ ისე, რომ არ შეგაწუხოთ!

*****

არცთუ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელმაც უკვე ვერცხლის ქორწილის აღნიშვნაც მოასწრო, დილით მაგიდასთან ზის, საუზმობს.
ცოლი ქმარს დიდხანს უყურებს და მრავალმნიშვნელოვნად ეკითხება:
– ძვირფასო, მითხარი, გულწრფელად მიპასუხე – ისევ გიყვარვარ?
გაღიზიანებულმა ქმარმა ჩანგალი მოისროლა:
– მოდი, ამიხსენი, რა – რა ჯანდაბად გინდა, რომ ყოველ დილას სკანდალით იწყებ?!

*****



ორი მელოტი კამათობს:
– შენ უფრო მელოტი ხარ, ვიდრე მე!
– საიდან მოიგონე ახლა ეგ სისულელე?!
– საიდან და იქიდან, რომ შენ ჩემზე დიდი თავი გაქვს!..

*****

ორი მეგობარი საუბრობს:
– შენს შვილს მათემატიკა უკვე დაუწერე?
– კი.
– მოიტა, გადამაწერინე, რა...

*****

– მირჩიე, ძმურად, რა ვუყიდო ცოლს დაბადების დღეზე?
– არ სჯობია, ადგე და ეგ კითხვა მას დაუსვა?
– ჰოო... სად მაქვს, თუ ძმა ხარ, მაგდენი ფული?!

*****

ერთი მეორეს ეკითხება:
– რა უფრო მძიმეა – 1 კილო ბამბა თუ 1 კილო ტყვია?
– რა ვიცი, დადექი აივნის ქვეშ და შევამოწმებთ!

*****

– ბრალდებულო, რატომ გაგუდეთ სიდედრი?!
– რატომ და თავი მომაბეზრა, თქვენო ღირსებავ!
– და ეს შეიძლება ადამიანის მოკვლის საბაბი გახდეს? აი, მაგალითად, მე სიდედრი მყავს, ნამდვილი კუდიანია, იდიოტია, არარაობაა და მოკლედ... 1 წლით პირობითი პატიმრობა!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ყველაზე საინტერესო ფაქტები



– საფრანგეთში 240 პარფიუმერიის ფირმაა. ყოველწლიურად ისინი დაახლოებით 172 ათას სუნამოს ფლაკონს ყიდიან.

– თაიგულების ყველაზე დიდი მოყვარულები ევროპაში შვეიცარიელები არიან. 15 წელს გადაცილებული შვეიცარიის თითოეული მოქალაქე წელიწადში მხოლოდ ყვავილებზე საშუალოდ 94 ევროს ხარჯავს. ყველაზე ნაკლებად ყვავილების მიმართ ინტერესს ბერძნები იჩენენ, რომლებიც წელიწადში თაიგულების შეძენაზე მაქსიმუმ 16,3 ევროს ხარჯავენ.

– ფინეთში დაახლოებით 1 მილიონ 400 ათასი საუნა ირიცხება, მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიონ ადამიანამდეა. ეს იმას ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, ყველა ოჯახს საკუთარი საუნა აქვს. ფინელების საყვარელი ანდაზა ასეთია: „დაიწყე სახლის მშენებლობა საუნით“.



– ირლანდიელები მსოფლიოს ნებისმიერ ერთან შედარებით გაცილებით მეტ რძეს სვამენ – თითო მოქალაქე წელიწადში დაახლოებით 156 ლიტრი რძით იჭყიპება.

– საშუალო სტატისტიკური იტალიელი წელიწადში დაახლოებით 28 კილო მაკარონს ჭამს.

– ოფისებში მომუშავე გერმანელების დაახლოებით 8 პროცენტი სამუშაო ადგილზე ძაღლებს რეგულარულად დაატარებს. ხელმძღვანელობის მხრიდან გამოთქმულ პროტესტს ისინი იმით პასუხობენ, რომ ოთხფეხა მეგობარი სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლაში ეხმარება, ხოლო, თუკი შეფის უკმაყოფილება კვლავ გაგრძელდა, სასამართლო და მისი ჯანი.

– ყოველწლიურად მსოფლიოში სახედროების მიზეზით იმაზე მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ავიაკატასტროფებში.

– ძილის დროს ადამიანი გაცილებით დიდი რაოდენობით კალორიას წვავს, ვიდრე ტელევიზორის ყურებისას.

– ვენერა მზის სისტემის ერთადერთი პლანეტაა, რომელიც საათის ისრის საწინააღმდეგოდ ბრუნავს.

– თასმების ბოლოს მიმაგრებულ ციცქნა პლასტმასებს აქსელბანტი ეწოდება.

– კომპანია „მარლბორის“ პირველი მფლობელი ფილტვის კიბოსგან გარდაიცვალა.

– მაიკლ ჯორდანმა „ნაიკისგან“ იმაზე მეტი ფული მიიღო, ვიდრე ამ ფირმის ფაბრიკების ყველა თანამშრომელმა.

– მერილინ მონროს ფეხებზე 6-6 თითი ჰქონდა.

– ამერიკის ყველა პრეზიდენტი სათვალეს ხმარობდა. უბრალოდ, უმრავლესობას სათვალეებით პუბლიკის წინაშე გამოჩენა არ უყვარდა.

– სპეციალური კვლევების შედეგად უკვე ბევრჯერაა დამტკიცებული, რომ სასიყვარულო განცხადებების ავტორთა მინიმუმ 35 პროცენტი გათხოვილი ან ცოლიანია.

– მიზეზი, რის გამოც ამერიკულ სახანძრო ქვედანაყოფებში დახვეული კიბეებია განთავსებული იმ დროს უკავშირდება, როცა შენობებში სიმძიმეები ცხენების დახმარებით აჰქონდათ. თურმე, ცხენები ვერაფრით ადიოდნენ ისეთ კიბეებზე, რომლებიც ზედა სართულებს პირდაპირ უკავშირდებოდა.

– ნიუ-იორკელი ტაქსისტების 90 პროცენტი ემიგრანტებისგან შედგება.

– სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც ხტომიალი არ შეუძლია. ჰოდა, ძალიანაც კარგი!

– შანსი იმისა, რომ 116 წელი იცოცხლოს, 2 მილიონიდან მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს, ისიც მინიმალური.

– ანატომიურად შეუძლებელია, ადამიანმა საკუთარ იდაყვს უკბინოს ან აკოცოს, მნიშვნელობა არ აქვს.

– ნიანგებს ენის გამოყოფის უნარი არ ჰქონიათ, თუმცა რომც არ დაიჯღანონ, მაინც საშინელი შესახედავები არიან.

– სანთებელა ასანთზე ადრეა გამოგონილი.

– ყოველწლიურად ამერიკის მოქალაქეები 18 ჰექტარ პიცას მიირთმევენ.

– მსოფლიოში პირველი ადამიანი, რომელიც მატარებლის ქვეშ მოყვა, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, უილიამ ჰასკინსონი გახლდათ. ცნობილია ისიც, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლორდმა პალმერსტონმა 1865 წლის 18 ოქტომბერს სული პირდაპირ ბილიარდის მაგიდაზე დალია, როცა მოახლესთან სექსი ჰქონდა გაჩაღებული.

– ასეთი აღსასრული აუცილებლად ასცდებოდა ლორდ პალმერსტონს მასაც ფრანგი მონარქის, ლუდოვიკო XIV მსგავსად 413 საწოლი რომ ჰქონოდა.

– ცნობილი ფიზიკოსი და ნობელის პრემიის მფლობელი ნილს ბორი (1885-1962) დანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარეც გახლდათ.

– ვილა რეალ დე ლა სანტა ფე დე სან ფრანცისკო დე ასის – სწორედ ასე ჟღერს ცნობილი მექსიკური ქალაქის – სანტა-ფეს სრული სახელწოდება.

– გაცილებით გრძელია ამერიკული ლოს-ანჯელესის ოფიციალური დასახელებაც, რომელიც აი, ასე ჟღერს: ელ პუებლო დე ნუესტრა სენიორა ლა რეინა დე ლოს-ანჯელეს დე ლა პორცინკულა.

– კვლევებმა აჩვენა, რომ ლუდის ზომიერად მიღებას გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. აი, შებოლილი თევზისა და სოსისის სასარგებლო თვისებებიც რომ დაედგინა ვინმეს, ჩვენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა.



– მზის სხივები ადამიანის სიცოცხლისთვის ძალიან საჭიროა, მაგრამ უდიდესი ზიანის მოტანაც შეუძლია. აი, ასთმიანებისთვის კი დოზირებული გარუჯვა მართლაც აუცილებელია, რადგან მზის სხივი აფერხებს იმუნურ რეაქციებს, რომლებიც ასთმის ჩამოყალიბებას იწვევს.

– სექსი ადამიანს ათავისუფლებს სტრესისგან, ამცირებს ქოლესტერინის დონეს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას მთელ ორგანიზმში. დაიმახსოვრეთ ყოველი შემთხვევისთვის, იქნებ, ოდესმე ვინმესთან თავის მართლება დაგჭირდეთ და...

***world.lib.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## თვითმკვლელობისგან გადარჩენა შეუძლია... სექსს



გადასარევი ინფორმაციაა, ვერაფერს იტყვი – ერთდროულად სასარგებლო და სასიამოვნო...

საიდუმლო არავისთვისაა, რომ მარტოსული ადამიანები თვითმკვლელობისკენ არიან მიდრეკილები. მხარდაჭერის არარსებობა იმ შედეგს იძლევა, რომ ადამიანები ძალიან რთულ დასკვნამდე მიდიან და ერთადერთ გამოსავალს სიცოცხლის დასრულებაში ხედავენ.

მართალია, დეპრესიულ ადამიანებს ზოგ შემთხვევაში ფსიქოლოგები შველიან ხოლმე, მაგრამ ბევრს სპეციალისტებამდე მისვლა, უბრალოდ, არ სურს. ჰოდა, იმისთვის, რათა უკიდურესად არასასიამოვნო შედეგის თავიდან აცილება მოხერხდეს, დეპრესიით შეპყრობილებს კანადელი მეცნიერები სექსით დაკავებას ურჩევენ.

კანადელების მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ მარტოხელა ადამიანების 70 პროცენტი „მკურნალობის კურსს“ სწორედ სექსით იტარებენ, თუნდაც საქმე შემთხვევით კავშირს ეხებოდეს.

– შესაძლოა, მარტოხელა ადამიანებს არც სურდეთ სექსზე უარის თქმა, მაგრამ მათ ახალი ურთიერთობის დაწყების ეშინიათ, რათა ვინმემ კვლავ არ მიატოვოს. ამდენად, გამოსავალი შემთხვევითი კავშირებია, – ამტკიცებენ კანადელი სექსოლოგები, რომელთა რჩევის გათვალისწინება ალბათ, ძალიან ბევრს გაუჭირდება, თუმცა როცა თვითმკვლელობისგან გადარჩენას ეხება საქმე, მათი აზრი დაფიქრებად მაინც ღირს.

***medportal.ru***

## მთვრალმა ქურდებმა უფასო საქონლის მაღაზია გაძარცვეს

უდღეური და უტვინო რომ დაიბადება ადამიანი, აბა, ასეთს რაღა ეშველება?! როგორც ჩანს, „კუზიანს სამარე თუ გაასწორებსო“, მართლაც უდიდესი ჭეშმარიტებაა.

როგორც ირკვევა, ეს კურიოზული შემთხვევა კანადის ქალაქ ედმონტონში დაფიქსირდა, სადაც ორი ნასვამი ბოროტმოქმედი უფასო საქონლის მაღაზიაში შეიპარა და რამდენიმე ნივთი წასაღებადაც მოამზადა, თუმცა ისინი მაღაზიის მფლობელმა შეამჩნია და მაშინვე პოლიცია გამოიძახა.

– ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მაღაზიას ვინმე გაქურდავდა, რადგან სამუშაო საათებში მოსვლისას ნებისმიერ ადამიანს ყველაფერს უფასოდ ვაძლევთ, – ამბობს მაღაზიის მფლობელი, რომელსაც გაკვირვების საფუძველი ნამდვილად აქვს.

სავარაუდოდ, ცალტვინა ქურდებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ, ხოლო რაც შეეხება ჩვენთვის ასე უცხო უფასო საქონლის მაღაზიას, მისი მუშაობის პრინციპი ასეთია: ნებისმიერ მსურველს მაღაზიაში არასასურველი ნივთი მიაქვს და მინიმუმ 2 დოლარს იქით იხდის, შემდეგ კი ეს ნივთები უფასოდ რიგდება.

***lenta.ru***

## შოკოლადი და სიმინდი ვენერიული დაავადებების წინააღმდეგ



ამ შემთხვევაშიც სიახლის ავტორები ამერიკელი სპეციალისტები არიან, რომელთა განმარტებითაც, ამინომჟავა არგინინის შემცველ პროდუქტებს აქვთ შესანიშნავი თვისება, ადამიანის ორგანიზმი ვენერიული დაავადებებისგან დაიცვან. იმისთვის, რათა ადამიანმა საკუთარ ორგანიზმს თავდაცვითი ფუნქციები გაუძლიეროს, შოკოლადი და სიმინდი უნდა მიიღოს, ასევე, შვრიის ფაფა, ნიგოზი, ქიშმიში და ასე შემდეგ. ყველა ჩამოთვლილ პროდუქტში არგინინის შემცველობა საკმარისზე მაღალია.

ამერიკელი მედიკოსების თქმით, როცა ადამიანის ორგანიზმი არგინინის საკმარის რაოდენობას შეიცავს, მავნე მიკრობებთან ბრძოლა გაცილებით იოლად შეუძლია. კერძოდ, საშიშროების შემთხვევაში, ანთების კერის ახლოს იწყება მაკროფაგის უჯრედების გამომუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის მობილიზაციას, შეებრძოლოს მავნე მიკრობებს.

აუცილებლად ყურადსაღებია, რომ ასეთი ეფექტის მიღებისთვის საჭიროა ორგანიზმში სწორედ ამინომჟავა არგინინის დიდი რაოდენობა. სპეციალისტები გვირჩევენ, ზემოთჩამოთვლილი პროდუქტით აქტიური სექსუალური ცხოვრების მქონე ადამიანები რეგულარულად იკვებონ.

***flirtmag.com.ua***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. მსახიობი ნანვა ...
2. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
3. შრომა
4. მანანას რადიომიმღები
5. ფრანგი მხატვარი
6. „მაუგლი" ავაზა
7. საქონლის სადგომი
8. ინდაურის კერძი
9. მსახიობი შირლი ...
10. ქალაქი ვოლგის დელტაში
11. ჯუჯა, ანუ ...
12. ადამიანთა წარგზავნილი ჯგუფი
13. მიწის ფართობის ერთეული
14. ყურძნის ჯიში
15. პატარა სასაცილო ამბავი
16. მორბენალი ფრინველი
17. საბერძნეთის დედაქალაქი
18. ალთქმული ადგილი პერუში
19. ქალაქი საფრანგეთში
20. კრავის მატყლი
21. ვენეციური ნავი
22. მსახიობი ერიკ ...
23. მკვებავი ხაზი, რომელიც გადის ელექტროსადგურიდან
24. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
25. ედმონ ..., იგივე გრაფი მონტე-კრისტო
26. რეჟისორი ლარს ფონ ...
27. გერმანული ფულის ერთეული
28. ცხენოსანი არმია
29. ნუშის ლიქიორი
30. კოსმოდრომი ყაზახეთში
31. საფრენი აპარატი
32. მსახიობი ... ტომპსონი
33. ერთგვარი ფანქარი
34. ქალაქი ავსტრიაში
35. არქიმედეს შეძახილი აბანოში
36. ცული
37. ჭაობში წარმოქმნილი ნიადაგი
38. მხედართმთავარი
39. სურნელოვანი ფისი
40. მხ/ფ „დიდი მწვანე ..."
41. მარცვლოვანი მცენარე
42. ვაქცინაცია
43. „ღვინის ქურდები" კავსაძე
44. სწორი ადგილი გრაფიკზე
45. სამანიშვილების სიძე
46. კურორტი ზუგდიდის რაიონში
47. რეჟისორი ... ჰოვარდი
48. ბულგარული არაყი
49. საქონელგაცვლა საგარეო ვაჭრობაში
50. მსახიობი ჯენიფერ ...
51. „მეხუთე ელემენტი" იოვოვიჩი
52. დიდი მაღაზია
53. იაზონის გემი
54. გიგანტური ზომის ადამიანი
55. მხატვრის ფუნჯი
56. თითებით დასარტყამი საკრავი
57. ერთგვარი ქუდი
58. მომღერალი რაფაელა ...
59. ტოლჩა
60. ათასწლეულის დასასრული
61. ინერტული აირი
62. მსახიობი უორენ ...
63. კერძების ჩამონათვალი
64. სახელმწიფო აფრიკაში
65. გასაღები
66. მეტროს მოძრავი კიბე
67. რადიოლოკატორი
68. ლომის თათი
69. ტაში
70. რუსი კომპოზიტორი
71. პირადობის მოწმობა
72. სახელმწ. ... და ტობაგო
73. პარლამენტის თავმჯდომარე
74. მისი დედაქალაქია ტოკიო
75. გადამდნარი ღორის ქონი
76. მსახიობი დრიუ ...
77. შეხვედრა, ანუ ...
78. მსახიობი ... ბენინგი
79. გამოთქმა: ... ჭრის და ... კერავს
80. ... ანანიაშვილი
81. პოეტი ... ალიგიერი
82. იტალიელი მოქანდაკე
83. დასტინ ჰოფმანი ფილმში
84. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
85. ავტოსაგზაო შემთხვევა
86. მომლოცველი
87. ბალეტ „ჟიზელის" ავტორი
88. ბოსტნეული
89. ყანწის მასალა
90. რუსი მომღერალი ალექსანდრე ...
91. მხატვარი ალბრეხტ ...
92. მხატვარი ოგიუსტ ...
93. მონეტების შემგროვებელი
94. ტროპიკული ნაყოფი
95. ქოქოსის გული
96. „და ვინჩის კოდი" ავტორი ... ბრაუნი
97. რეჟისორი კვენტინ ...
98. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
99. მხ/ფ „ვერის უბნის ..."
100. მეტყველების ექიმი
101. ბუდისტი მასწავლებელი
102. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
103. ... პუგაჩოვა
104. თანხა. მამა უხდის შვილს
105. მხატვარი ავთო ...
106. დანა, კოვზი, ...
107. მდინარე გერმანიაში
108. „... სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია"
109. „ნატვრის ხე" თაყაიშვილი
110. მხატვარი კამილ ...
111. გრამატიკული ტერმინი
112. ... ტიმოშენკო
113. კაენის მსხვერპლი
114. ქალაქის მუნიციპალიტეტი
115. მდ. სანკტ-პეტერბურგში
116. ხორთუმიანი ცხოველი
117. უნივერსიტეტი ... მატერი
118. კავშირებითი სიტყვა
119. ... ხეთაგუროვი
120. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
121. ადამიანის ბიოველი
122. მზის ღმერთი ეგვიპტეში
123. ქართ. საესტრადო ანსამბლი
124. ნადირობის ქალღმერთი
125. ტბა უნგრეთში
126. მწერალი ალფონს ...
127. მსახიობი ... ჰარლი
128. მსახიობი ... ზეტა-ჯონსი
129. „ტრავიატა" პერსონაჟი
130. გაზაფხულის თვე
131. კომპოზიტორი ... სენ-სანსი
132. ბულგარელი ნათელმხილველი
133. მსახ. ... მახარაძე
134. ჩანთოსანი დათვი
135. შეძახილი ტკივილისას

პასუხები: 1. კალატოზიშვილი; 2. ტორტილა; 3. ჯაფა; 4. რადიოლა; 5. მილე; 6. ბაგირა; 7. ბოსელი; 8. საცივი; 9. მაკლეინი; 10. ასტრახანი; 11. ქონდრისკაცი; 12. დელეგაცია; 13. აკრი; 14. რქაწითელი; 15. ანეკდოტი; 16. სირაქლემა; 17. ათენი; 18. ელდორადო; 19. ლიონი; 20. კრაველი; 21. გონდოლა; 22. ბანა; 23. ფიდერი; 24. მედინა; 25. დანტესი; 26. ტრიერი; 27. მარკა; 28. კავალერია; 29. ამარეტო; 30. ბაიკონური; 31. დირიჟაბლი; 32. ემა; 33. ფლომასტერი; 34. ინსბრუკი; 35. ევრიკა; 36. ნაჯახი; 37. ტორფი; 38. სარდალი; 39. საკმეველი; 40. ველი; 41. ბრინჯაო; 42. აცრა; 43. ელიბო; 44. პლატო; 45. კირილე; 46. ანაკლია; 47. რონ; 48. რაკია; 49. ბარტერი; 50. ენისტონი; 51. ლილუ; 52. სუპერმარკეტი; 53. „არგო"; 54. გოლიათი; 55. ყალამი; 56. დაირა; 57. კეპი; 58. კარა; 59. კათხა; 60. მილენიუმი; 61. არგონი; 62. ბიტი; 63. მენიუ; 64. ლესოტო; 65. კლიტე; 66. ესკალატორი; 67. რადარი; 68. ტორი; 69. აპლოდისმენტი; 70. სკრიაბინი; 71. პასპორტი; 72. ტრინიდადი; 73. სპიკერი; 74. იაპონია; 75. ლარდი; 76. ბერიმორი; 77. რანდევუ; 78. ანეტ; 79. თან; 80. ნინო; 81. დანტე; 82. დონატელო; 83. „ტუტსი"; 84. მისისიპი; 85. ავარია; 86. პილიგრიმი; 87. ადანი; 88. კიტრი; 89. რქა; 90. მალინინი; 91. დიურერი; 92. რენუარი; 93. ნუმიზმატი; 94. მანგო; 95. კოპრა; 96. დენ; 97. ტარანტინო; 98. მისური; 99. მელოდიები; 100. ლოგოპედი; 101. გურუ; 102. აგნი; 103. ალა; 104. ალიმენტი; 105. ვარაზი; 106. ჩანგალი; 107. რაინი; 108. ბოროტსა; 109. მარადია; 110. კორო; 111. ზმნიზედა; 112. იულია; 113. აბელი; 114. მერია; 115. ნევა; 116. სპილო; 117. ალმა; 118. და; 119. კოსტა; 120. როკ; 121. აურა; 122. რა; 123. „ორერა"; 124. დიანა; 125. ბალატონი; 126. დოდე; 127. ლიზ; 128. კეტრინ; 129. ვიოლეტა; 130. მაისი; 131. კამილ; 132. ვანგა; 133. კოტე; 134. კოალა; 135. ვაი. იკითხება: ტოტო.

# სკანვორდი



1. მსახიობი ვანიკო ...
2. ძალიან მცირე, ანუ ...
3. ნახშირმჟავას მარილი
4. მსახიობი ... ლიოტა
5. ახალი ზელანდიის მკვიდრი
6. თამაში ვოლანით
7. უქორწინო თუთიყუში
8. ეთიოპიის დედაქალაქი
9. კომპოზიტორი ... პაულსი
10. მაკედონელის ცხენი
11. მავნე აირებისაგან დამცავი
12. გეომეტრიული ფიგურა
13. ჰომეროსის პოემა
14. ცელქი
15. მტაცებელი ფრინველის ფრენა
16. ქურციკი
17. გამის ნოტი
18. შხამიანი მწერი
19. „ფაუსტის" პერსონაჟი
20. რით მოკლა დავითმა გოლიათი
21. სარეველა ბალახი
22. მგალობელი ფრინველი
23. მეფის ვაჟი
24. ვულკანი სიცილიაზე
25. „... პიტკინი საავადმყოფოში"
26. მომღერალი ... ხალვაში
27. ბეთჰოვენის ოპერა
28. ვულკანური მასა
29. კუდმოკლე ფრინველი
30. რამაზ გიორგობიანი ფილმში
31. მწერალი არტურ კონან ...
32. იტალიელების გმირი ჯუზეპე ...
33. ღია მიშენება შენობაზე
34. ყაიმი
35. ვირისა და ცხენის ნაშიერი
36. ნივთიერება თამბაქოში
37. ახლანდელი დრო (გრამატ.)
38. მონეტების შემგროვებელი
39. კაზინო
40. დუმბაძე, „მზიანი ..."
41. რგოლოვანი პარაზიტი ჭია
42. ჩინეთის დედაქალაქი
43. მართვა იაპონელი მამაკაცისადმი
44. იტალიის დედაქალაქი
45. ქალაქი-სახელმწიფო აზიაში
46. ომლეტი
47. კალათბურთელი ... ონილი
48. თვითმკვლელობა
49. დიდი ჩაქუჩი
50. მსახიობი ... გარბო
51. ლენონის ქვრივი
52. გიორგი საკაძის სოფელი
53. თევზის წვნიანი
54. მარყუჟი
55. ქალაქი ავსტრიაში
56. დროშა
57. მეგობრული შარჟი
58. ის, ვინც ნალებს აჭედებს
59. მხ/ფ „ბიჭები"
60. შალის საპალტოე ქსოვილი
61. მომღერალი ... მინოუგი
62. ციფრი
63. ნივრების ასხმა
64. გიტარის მავთული
65. საგანგებო დავალება
66. მსახიობი ... ბანდერასი
67. მსახიობი ... კერი
68. მოსამართლის მოსასხამი
63. ლომოურის მოთხრობა
70. დიდი საწარმო
71. კონტინენტი
72. ინდური კაბა
73. რა ქვეითდება შიდსის დროს
74. დაბალფასიანი
75. მომღერალი პატრიცია ...
76. წელიწადში 366 დღით
77. მდინარე კახეთში
78. გამსახურდიას მოთხრობა
79. ანდრომედას ...
80. კურორტი ბორჯომთან
81. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
82. მსახიობი კრისტოფერ ...
83. საავადმყოფოს ოთახი
84. მარცვლოვანი მცენარე
85. მართვა ქალისადმი ცხენზე.
86. ვერდის ოპერა
87. ქალაქი იტალიაში
88. მსახიობი ... ჰეპბერნი
89. ისრაელის დედაქალაქი
90. მხედართმთავარი (ძვ.)
91. ქუჩის განათება
92. ინტერნეტით პირდაპირ ყურება
93. მხ/ფ „კურკები" ...
94. ავტომრბოლელი ... ლაუდა
95. ..., ანუ გველის სოკო
96. ელვის პრესლის ჟანრი
97. მსახიობი დრიუ ...
98. მსახიობი ... ჟირარდო
99. თიხის ჭურჭელი სითხისთვის
100. ჩრდილოეთის ირემი
101. ... კიბოტ ლამანჩელი
102. მსახიობი ჯორჯ ...
103. მეფის მრჩეველი
104. მირაჟი: ფატა ...
105. ვერცხლისწყლის ნაერთი
106. ჭადრაკი
107. არგენტინული ჩაი
108. ქალაქი პოლონეთში
109. ნორვეგიის დედაქალაქი
110. ოპერა „ევგენი ..."
111. მწერალი ალბერ ...
112. მსახიობი მელ ...
113. საგიტაციო კლიპი
114. რეგისორი ... ლოლობრიჯიდა
115. სოფელი რაჭაში
116. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
117. შვიდი დღე
118. ერთი ერთი თითი
119. ფეთქი მინერალი სკოლაში
120. მდინარე ორინოკოს ველი
121. საგალობელი ... მარია
122. კურორტი თურქეთში
123. მსახიობი ... ელიავა
124. სვეტის ფორმის ძეგლი
125. რას ასრულებს მსახიობი
126. პოეტი ... მიცკევიჩი
127. კურორტი ბაღდათის რაიონში
128. იანის საპირისპირო
129. მწერალი ... ქიაჩელი
130. მისი დედაქალაქია ლონდონი
131. „არგოს" კაპიტანი
132. ბულგარული ფულის ერთეული
133. ... ნასრედინი
134. მდინარე იტალიაში
135. რკინიგზა
136. ბერძ. ანბანის ასო
137. მსახიობი ... მონტანი
138. ხელოსნების გაერთიანება ძველად
139. ყველაზე მტკიცე მინერალი
140. ცეკვა მულენრუჟში
141. მდინარე ინდოეთში
142. ანწლი
143. ფრინველი. ახალი ზელანდიის სიმბოლო

პასუხები: 1. თარხნიშვილი; 2. მისხალი; 3. კარბონატი; 4. რეი; 5. მაორი; 6. ბადმინტონი; 7. არა; 8. ადის-აბება; 9. რაიმონდ; 10. ბუცეფალი; 11. აირწინალი; 12. რომბი; 13. „ილიადა"; 14. ანცი; 15. ირაო; 16. ნიამორი; 17. მი; 18. კელა; 19. მეფისტოფელი; 20. შურდული; 21. ანწლი; 22. იადონი; 23. უფლისწული; 24. ეტნა; 25. მისტერ; 26. სოფო; 27. „ფიდელიო"; 28. ლავა; 29. მერცხალი; 30. სერენადა; 31. დოილი; 32. გარიბალდი; 33. აივანი; 34. ფრე; 35. ჯორი; 36. ნიკოტინი; 37. აწმყო; 38. ნუმიზმატი; 39. სამორინე; 40. ღამე; 41. ასკარიდი; 42. პეკინი; 43. სან; 44. რომი; 45. სინგაპური; 46. ტაფამწვარი; 47. შაკილ; 48. სუიციდი; 49. ურო; 50. გრეტა; 51. ონო; 52. ნოსტე; 53. უხა; 54. ყულფი; 55. ზალცბურგი; 56. ბაირაღი; 57. კარიკატურა; 58. ნალბანდი; 59. ღიმილის; 60. დრაფი; 61. კაილი; 62. ნოლი; 63. გალა; 64. სიმი; 65. მისია; 66. ანტონიო; 67. ჯიმ; 68. მანტია; 69. „ქაჯანა"; 70. ქარხანა; 71. აფრიკა; 72. სარი; 73. იმუნიტეტი; 74. იაფი; 75. კაასი; 76. ნაკიანი; 77. იორი; 78. „ლილ"; 79. ნისლეული; 80. ლიკანი; 81. მარტინა; 82. რივი; 83. პალატა; 84. ბრინჯი; 85. ფრუ; 86. „რიგოლეტო"; 87. ტურინი; 88. ოდრი; 89. იერუსალიმი; 90. სპასალარი; 91. ილუმინაცია; 92. ონლაინი; 93. კაკალი; 94. ნიკი; 95. მერცხალი; 96. როკ-ენ-როლი; 97. ბერიმორი; 98. ანი; 99. სურა; 100. მარალი; 101. კლუნი; 103. ვეზირი; 104. მორგანა; 105. ამალგამა; 106. მუდარა; 107. მატე; 108. კრაკოვი; 109. ოსლო; 110. ონეგინი; 111. მორუა; 112. გიბსონი; 113. რეკლამა; 114. ლანა; 115. ირი; 116. ომეგა; 117. კვირა; 118. ნეკი; 119. ცარცი; 120. ლიანოსი; 121. ავე; 122. ანტალია; 123. ლია; 124. ობელისკი; 125. როლი; 126. ადამ; 127. საირმე; 128. ინი; 129. ლეო; 130. ინგლისი; 131. იაზონი; 132. ლევი; 133. მოლა; 134. პო; 135. ლიანდაგი; 136. სიგმა; 137. ივ; 138. ამქარი; 139. ალმასი; 140. კანკანი; 141. ინდი; 142. ავი; 143. კივი. იკითხება: ხოხობი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. ბალერინა ნინო ...
2. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
3. მსახიობი ... გარბო
4. ტენორი ... ჯილი
5. მსოფლმხედველობა
6. ანტიკურ საბერძნეთში: ალექსანდრე ...
7. მხ/ფ „არაჩვეულებრივი გამოფენა" ... ოგურცოვა
8. მალვინას პუდელი
9. განმარტება წამლის ფლაკონზე
10. ხმლის ბუდე
11. ნათება წმინდანის თავზე
12. კურორტი სოჭის რაიონში
13. ალკოჰოლური სასმელი
14. შტატი აშშ-ში
15. ცხიმის კვალი ქსოვილზე
16. მშვიდი განწყობა
17. პატარა არხი
18. დედამიწის გუმბათი
19. რუსი მხატვარი
20. კურორტი საქართველოში
21. ისტორიული კრეისერი
22. მსახიობი ან ...
23. მწვერვალი კავკასიონზე
24. ნახ. კუნძული ევროპაში
25. „ეზოში ... ძაღლია"
26. მდინარე პარიზში
27. ხელის საგრილებელი
28. რეჟისორი ... მჭედლიძე
29. ისრის წვეტი
30. მაღალტირაჟიანი წიგნი
31. ქორეოგრაფი ჯორჯ ...
32. მხატვარი ელენე ...
33. ქალაქი ნიდერლანდში
34. ... შანელი
35. ბედი
36. შვილიშვილი
37. ფეხბურთელი ... დარასელია
38. დავით ნარიმ და დავით ...
39. მუსიკალ. ნაწარმ. ტემპი
40. სპექტაკლი „ძველი ..."
41. მსახიობი ... კრამაროვი
42. საკულტო ტაძარი ბაბილონში
43. თევზის ჯიში
44. ხე, რომლის წვენისაგანაც მიიღება კაუჩუკი
45. რეჟისორი ... სკოტი
46. მსახ. ... უიზერსპუნი
47. ვენესუელას დედაქალაქი
48. ... ფონ ბისმარკი
49. ... ხაიამი
50. ქართ. ანბანის ბოლო ასო
51. ქალაქი ჩეხეთში
52. ჰიპოტენუზა და ...
53. ბოსტნეული
54. კოხის ჩხირით გამოწვეულ დაავადებ.
55. მსახიობი ვანესა ...
56. მონღოლეთში: ოქროს ...
57. ბერძნული ცეკვა
58. ჟამი
59. „არაჩვეულებ. გამოფენა" მჭედელი
60. დადუღებული ყურძნის წვენი
62. ჩარხი
63. მსახიობი ... სარაჯიშვილი
64. რეჟისორი ჯონ ...
64. მსახიობი ... მარტინი
65. პოეტი ... წერეთელი
66. მხ/ფ „ზოლიანი ..."
67. მეტროს კიბე
68. ჯამის ფორმის სასმელი
69. ზღაპარი „12 ..."
70. გოგოლის მოთხრობა
71. მსახიობი ... დიტრიხი
72. თევზის ჯიში
73. მსახ. ... ბობ ტორნტონი
74. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
74. კომპოზიტორი დიმიტრი ...
76. პირველი ოთხნიშნა რიცხვი
77. კათოლიკური საგალობელი
78. ფიზიკოსი ალბერტ ...
79. ბრაზილიელი ფეხბურთელი
80. ... ურჩევნია მამულსა
81. მსახიობი ... წულაძე
82. თმის წითელი საღებავი
83. კედლის შანდალი
84. ინდიელის ფეხსაცმელი
85. მევიოლინე ვანესა ...
86. საერთაშორისო ორგანიზაცია
87. მიწათმოქმედების სპეციალისტი
88. ... ხაჩატურიანი
89. ფასიანი ქაღალდი
90. გიტარის მავთული
91. მსახიობი დემი ...
92. მსახიობი იური ...
93. ძაღლების სპეციალისტი
94. რუკების კრებული
95. შხამიანი გველი
96. ხილი
97. სამწვადე ნაჭრები
98. ნახატი კედელზე
99. ფიზიკოსი ისააკ ...
100. ოტელოს ეროვნება
101. პოეტი ... ბარტო
102. ... ხეთაგუროვი
103. მომღერალი ... მჟავია
104. აპლოდისმენტი
105. ... კლარჯეთი
106. მხ/ფ „... და მისი ძმები"
107. მაფია ... -ნოსტრა
108. ბრინჯაო
109. ხილის ნაჭუჭიანი გული
110. უნგრელი კომპოზიტორი
111. სათავსო სახლის ქვეშ
112. მომღერალი ... პავლიაშვილი
113. მომღერალი ... მორისეტი
114. ველური მსხალი
115. გლაზუნოვის ბალეტი
116. ინტუიცია
117. ქალაქი საფრანგეთში
118. ვაზა
119. თუ ... გულობს
120. ... შეიქმს სიყვარულსა
121. ძიძა
122. კოფეინიანი სასმელი
123. მხატვარი რაფაელ ...
124. თოვლის კაცი
125. ყურძნის ჯიში
126. მოჭადრაკე ... კრამლინგი
127. კომპოზიტორი ... -კორსაკოვი
128. მთათა სისტემა ... -შანი
129. თეთრი მასა ლუდის თავზე
130. სმენადაქვეითებული
131. მომღერალი ბობ ...
132. ოთხკუთხედში გავლებული ხაზი
133. ქალაქი ... -ვეგასი
134. სოფელი გორის რაიონში
135. მიწის ფართობის ერთეული
136. ბუდისტი მღვდელი
137. მხ/ფ „... კონფიდენციალურობა"
138. წყალქვეშ სასუნთქი მოწყობილობა
139. მდ. სანკტ-პეტერბურგში
140. ჭრილობა
141. ფრანგული ხურდა ფული
142. ჟან მარე ფილმში
143. ... სუხიშვილი
144. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
145. დისნეის ქალთევზა
146. ღმერთი ეგვიპტურ მითებში

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ნიანგმა ადამიანი სიკვდილისგან იხსნა



როდიდან გახდნენ ნიანგები ადამიანების მეგობრები და მათ სიცოცხლეზე მზრუნველები, ვერაფრით გეტყვით, მაგრამ ერთ შრი-ლანკელ პენსიონერს თუ დავუჯერებთ, მისი სიკვდილისგან გადარჩენა სწორედ უზარმაზარი რეპტილიის დახმარებით მოხდა და სხვა არავისი.

იპალი გუნასეკურა იხსენებს, რომ ესტუარინის ჯიშის ნიანგი, რომელიც, სხვათა შორის, ყველაზე დიდი ზომისაა სხვა ალიგატორებთან შედარებით, ცუნამის დროს მას ზღვიდან გამოსვლაში დაეხმარა.

როცა შრი-ლანკელი პენსიონერი უეცრად თავს დამტყდარმა სტიქიამ ზღვაში შეითრია, თავდაპირველად ის ხეებს მოეჭიდა და წყლის ზედაპირზე ტივტივის საშუალებაც მიეცა, მაგრამ სულ მალე ტალღებმა ირგვლივ ყველაფერი შემოაცალა და დაცვის გარეშე დატოვა.

– ამ დროს წყლის სიღრმიდან რაღაცის შეხება ვიგრძენი და მას მთელი ძალით ჩავაფრინდი. ასეთ მდგომარეობაში მთელი 7 საათი ვიყავი და როცა ზღვა დამშვიდდა, რაღაც ძალამ ნაპირზე თავისით გამიყვანა. თურმე ნიანგზე ვიყავი შემოხვეული, – ამბობს შრი-ლანკელი.

სპეციალისტების განმარტებით, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ნიანგმა ადამიანს პირი არ დააკარა და პირიქით, ის სიკვდილისგანაც კი გადაარჩინა.

*lenta.ru*

## რა კავშირია კბილების ჯანმრთელობასა და... ოპტიმიზმს შორის?



ცოტა არ იყოს, დავიბენით, რადგან ძალიან გაგვიჭირდა მიხვედრა, რა კავშირი შეიძლება იყოს, მაგალითად, ღრძილების ანთებასა და მომავლის რწმენას შორის, თუმცა აღმოჩნდა, რომ კავშირი არსებობს, თანაც პირდაპირი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ახალ ზელანდიელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, ექსპერიმენტში კი მონაწილეობა დაახლოებით 1100-მა ადამიანმა მიიღო, რომელთაც თუნდაც უმცირესი სტომატოლოგიური პრობლემა მაინც აწუხებდათ.

ჰოდა, ექსპერიმენტის ჩატარების შედეგი ასეთი აღმოჩნდა: ის ადამიანები, რომლებიც მომავალს იმედის თვალით უყურებდნენ და ყოველ ახალ დილას ღიმილით ხვდებოდნენ, კბილებთან დაკავშირებული უსიამოვნებები ძალიან იშვიათად აწუხებდათ.

რატომ? ახალ ზელანდიელი სწავლულები ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნიან: მომავლის რწმენა, რომელსაც თან მხიარული ხასიათი ახლავს და შესაბამისად, სტრესისთვის ადგილი აღარ რჩება, ორგანიზმში სპეციფიკურ ჰორმონებს გამოიმუშავებს, რომლებიც კბილებზე კარიესის გაჩენასაც ეწინააღმდეგება, სხვა უსიამოვნებებზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც კი ზედმეტია.

*myjane.ru*

## ირანის სასამართლომ დამნაშავეს მჟავით დაბრმავების განაჩენი გამოუტანა



სიკვდილით დასჯა და ქურდებისთვის ხელის მოკვეთა რომ იყო ირანში, კი ვიცოდით, მაგრამ დამნაშავეებისთვის თვალების დათხრის განაჩენის გამოტანაც თუ ხდებოდა, თანაც მჟავით, მართლა ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუმცა ფაქტი სახეზეა.

როგორც ირკვევა, ირანის უმაღლესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს საშინელი განაჩენი – დამნაშავისთვის თვალების მჟავით დაწვის შესახებ, უცვლელი დატოვა.

ასეთი განაჩენი ირანის მოქალაქემ იმის გამო დაიმსახურა, რომ ცოლის საყვარელს თვალები სწორედ მჟავით ამოუწვა.

*mignews.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**30 სექტემბერი:** დღეს ბევრიც რომ არ იწვალოთ, გადაიღლებით. არ არის ეს დღე მუშაობისთვის განკუთვნილი.

**კურო 22.04-21.05**
**30 სექტემბერი:** ვიღაცის სპონტანურმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გეგმები აგირიოთ. ადამიანი, რომელზე დაყრდნობასაც აპირებთ, ყურადღებით შეარჩიეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**30 სექტემბერი:** დღეს რაღაცა უნდა მოხდეს, ამიტომ მოვლენები აკონტროლეთ, რომ კარგი შესაძლებლობა არ გაუშვათ ხელიდან. ტელეფონი არ მოიცილოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**30 სექტემბერი:** დღევანდელი მუშაობით კმაყოფილი დარჩებით. თუ კარგი აზრი მოგივათ, შეეცადეთ, განავითაროთ და არ დაივიწყოთ, გამოგადგებათ.

**ლომი 23.07-22.08**
**30 სექტემბერი:** სიტყვის თქმის უფლება იმას დაუთმეთ, ვინც სათქმელს თქვენზე ხმამაღლა იტყვის. ვისაც უნდა, რომ მოგისმინოთ, ჩურჩულსაც გაიგებს.

**ქალწული 23.08-22.09**
**30 სექტემბერი:** დღეს გარშემომყოფნი სათანადოდ შეგაფასებენ და არა მარტო გარეგნულად, არამედ ყველა კომპონენტში, მათ შორის თქვენს სულიერ სამყაროსაც.

**სასწორი 23.09-22.10**
**30 სექტემბერი:** დასთანხმდით კომპრომისს, დღეს ამით უფრო ბევრს მოიგებთ, ვიდრე წააგებთ. თუ დროს გაწელავთ და პასუხს დააგვიანებთ, ამით არაფერი არ შეიცვლება.

**მორიელი 23.10-21.11**
**30 სექტემბერი:** ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას, თქვენი ჩანაწერების წიგნაკს გადახედეთ. შეიძლება პასუხი მასში აღმოაჩინოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**30 სექტემბერი:** დღეს სილამაზის აღქმასთან მწყრალად იქნებით. შეეცადეთ, ეს ახლავე გამოასწოროთ, თორემ სიტუაცია შემდგომში უფრო უსიამოვნო ფორმებს მიიღებს.

**თხის რქა 22.12-19.01**
**30 სექტემბერი:** შესაძლოა, დღეს ჩაცმულობასთან დაკავშირებით შეცდომა მოგივიდეთ. ამინდს კარგად დააკვირდით და იმის მიხედვით შეიმოსეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**30 სექტემბერი:** მთავარია, გაიგოთ, რა გინდათ და შემდგომში ყველაფერი გაგიადვილდებათ. რაღაც შანსი გაგიჩნდებათ, რომლის ხელიდან გაშვებაც არ ღირს.

**თევზები 19.02-20.03**
**30 სექტემბერი:** საკუთარი ინტერესების მიხედვით იმოქმედეთ. არა იმიტომ, რომ ზოგჯერ საკუთარ თავზეც უნდა იზრუნო, არამედ იმიტომ, რომ თქვენი დახმარება არავის არ დასჭირდება.

## ნაღრძობებსა და მოტეხილობებს შავი ქლიავის ჩირი შეახორცებს



ამერიკელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, რაციონში ისეთი პროდუქტის დამატება, როგორიც შავი ქლიავის ჩირია, ნაღრძობებისა და მოტეხილობების შეხორცების პროცესს მნიშვნელოვნად დააჩქარებს.

სპეციალისტების მიერ ორგანიზებულ ექსპერიმენტში მონაწილეობა 60-დან 70 წლამდე ასაკის ხუთი ათასამდე ადამიანმა მიიღო. მათ შორის დაახლოებით 50 პროცენტს ქრონიკული მოტეხილობები და ასევე, ნაღრძობები აწუხებდა, დანარჩენებს კი ოსტეოპოროზის სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

კვლევის ავტორებმა მოხალისეების საკვებში შავი ქლიავის ჩირი დაამატეს და პროდუქტი რაციონიდან 2-3 თვის განმავლობაში არ ამოღებულა. შედეგად მოხდა ის, რამაც თვით მეცნიერებიც კი გააკვირვა – ქრონიკული მოტეხილობების მქონე ადამიანებს მდგომარეობა მთელი 85 პროცენტით გაუუმჯობესდათ, შვებით ამოისუნთქა ოსტეოპოროზის საფრთხის წინაშე მდგარმა კატეგორიამაც.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ამერიკელი მეცნიერები გვირჩევენ, შავი ქლიავის ჩირი, ან გნებავთ, შავი ქლიავი, კვების რაციონში აუცილებლად დაამატონ ასაკიანმა ადამიანებმა და ასევე, პროდუქტზე უარი არ თქვან არც ახალგაზრდებმა.

*dr20.ru*

## კარაოკეს გამარჯვებულმა მილიონი... პელმენი მოიგო



რა კავშირია სიმღერასა და პელმენებს შორის, ძალიან გაგვიჭირდება რამის თქმა, თუმცა სწორედ მილიონი პელმენი იყო დაწესებული მოსკოვში გამართულ კარაოკეს კონკურსზე, რომელშიც გამარჯვება ამერიკის მოქალაქემ მოიპოვა.

როგორც ირკვევა, ედვარდ პიმენტელმა კონკურსზე იმდენად კარგად იმღერა, რომ ჟიურიმ გამარჯვებულად ის ერთხმად დაასახელა.

რაც შეეხება მთავარ პრიზს, ამ საკითხზე საუბრისას კონკურსის ორგანიზატორები განმარტავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ედვარდ პიმენტელი დღეში 100 პელმენს შეჭამს, ეს საკვები პროდუქტი მას 27 წელი ეყოფა.

როგორ წაიღებს სამშობლოში კარაოკეს გამარჯვებული მილიონ პელმენს, ან რა პრიზები მიიღეს კონკურსის სხვა მონაწილეებმა, აღარ ზუსტდება.

*uralweb.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტემ მაგიდაზე მუშტი დააბრახუნა, სკამს წიხლი ამოსცხო და რაც შეეძლო, დაიღრიალა:
– ვინაა ამ სახლში უფროსი?!
– მე ვარ, რა იყო? – ცოლმა უპასუხა.
– არაფერი, შე ქალო, რა იყო, ისე ვიკითხე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია »211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.40